140
1965

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი · 2



# სათებერვლო

ჯანსუღ ჩარკვიანი

დღეს, როცა ქვეყნად ანთია
დიდი თებერვლის სინათლე,
როცა წინ უძღვის განთიადს
ჩვენი სიმართლის სიმართლე,
როცა სწავლაშიც გვიმართლებს
და ცხოვრებაშიც გვიმართლებს,
ვისია ეს საქართველო,
ეს გამარჯვება ახალი,
ათასი მზით რომ ნათელობს
ცა, უსასრულოდ მაღალი,
ვისია დიდი კოცონი
გულში რომ გაუჩენიათ?—
ჩვენია, მხოლოდ ჩვენია!
ჩვენია, მხოლოდ ჩვენია!
ჩვენია ლურჯი წყარონი,
ირმების დასაფიცარი,
წყარონი სანეტარონი,
ვით დილის სხივი ცინცხალი.
ჩვენ კარგად ვიცით, ამ ქვეყნად
მისი შემქმნელი ვინც არის,
ჩვენად ვიცანით მშვიდობა
და ძმობა ჩვენად ვიცანით.
არვის დავუთმობთ მტკაველსაც,
არცა ჩვენ სხვისი გვჭირდება,
ჩვენი მიწა და ჩვენი ცა
უფრო და უფრო ბრწყინდება.

ტკბილია ჩვენი ცხოვრება,
ვით საქართველო ტკბილია;
შენს სიყვარულში, მამულო,
მსოფლიო შემოგვივლია.
გულში გვაქვს რწმენა ხვალისა
და გული როგორც ზღვის ღელვა,
ვინც ფიქრი გაგვიხალისა
და დღე გვიქცია სიმღერად,
ვინც დიდი რწმენით გვასწავლა,
რომ მომავლის გზა ფართეა,
ვაშა, დიდება, ჩვენს მამას,
ჩვენს კომუნისტურ პარტიას.

დიდო მამულო, შენთან ვართ,
სხვა გზები არ გვიძებნია,
სწავლაშიც შენთან, ერთთავად,
ბრძოლაში? — ძმათა ძმები ვართ.
სხვაფერად ილხენს თაობა,
სხვაფერად გაჰღვიძებია,
კომუნიზმამდე ნათელი,
ფართე და ლაღი გზებია,
მზე ჰქვია ჩვენს გამარჯვებას,
ჩვენს საქართველოს მზე ჰქვია!

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

97.68






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი გოგია ბიჭისა

**ნინო დოლიძე**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

ნ. დოლიძის მოთხრობა — „ამბავი გოგია ბიჭისა“ — 1961 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

ბავშვებო, ალბათ, გახსოვთ თუ როგორი სიყვარულით დაგვიხატა მწერალმა ამ მოთხრობაში რევოლუციამდელი გლეხის ყოფა და პატარა სოფლელი ბიჭის უსიხარულო თავგადასავალი. გახსოვთ, რამდენი იწანწალა კარიდან-კარზე ცეროდენა მოჯამაგირემ, რამდენი წამება და ვაი-ვაგლახი გადაიტანა სხვის სამსახურში... ბოლოს, როცა წამოიზარდა გოგია, თვით ცხოვრებამ მიიყვანა იგი იმ ადამიანებთან, რომლებიც მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას იწყებდნენ... ეს იყო რევოლუციური მოძრაობის განთიადი, ეს იყო 1905 წელი. სწორედ ამ პერიოდის გურია გვიჩვენა მწერალმა თავის მოთხრობაში.

როგორც იცით, 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, სასტიკი რეაქცია გამეფდა გურიაშიც. რევოლუციის სხვა მონაწილეებთან ერთად, გოგია ბიჭი იძულებული იყო თავშესაფარი ეძებნა სხვაგან. და აი, მწერალი გვიამბობს გოგიას შემდგომ თავგადასავალს, აგრძელებს თავის მოთხრობას, რომლის ნაწყვეტსაც ჩვენ ვბეჭდავთ.

შრრ-შრრ-შრრ, — სულ უფრო და უფრო ახლოს ისმის შხუილი. რაა ეს? ზღვაა? არა, — ცეცხლი! იწვის, იწვის. ხომ წავუკიდეთ ცეცხლი ყაზარმებს. ასე უნდათ მაგათ! რამდენი სოფელი გადაწვეს, რამდენი ოჯახიააწიოკეს... მთაში და ტყეში გახიზნული რამდენი უსახლკარო მოხუცი და ბავშვი ტირის, — შიშველი, მშიერი, მწყურვალი. მაგრამ არის კიდევ ხალხი გურიაში! არ შეგარჩენენ, შურს იძიებენ; ხომ დაარბიეს მაზრის უფროსის სადგომი, ხომ დააფრთხეს მთელი ჯარი, ხომ წაუკიდეს ცეცხლი ყაზარმებს! ასე უნდა მაგათ, —ხალხის ამწიოკებლებს, მტარვალებს! იწვნიონ, თვითონ იგემონ ცეცხლის ძალა! ირბინონ ახლა, აჩხაკუნონ თოფები, ეძიონ— ვინ წაუკიდა ცეცხლი, — ვერავის იპოვნიან! გოგია წევს აგერ, ბათუმში, ზღვის პირას; მაგრამ ნესტორი? ნესტორ ბიძია? მოჰკლეს ნესტორი? არა, არა, — შეუძლებელია, ნესტორი გადარჩებოდა,—ისე საიმედოდ დაფარა გოგიამ ფოთლებით. იპოვნიან ნესტორს, უმკურნალებენ, მოარჩენენ! ხომ დაუბარა გოგიამ ილიკოს, — ნახავენ, გადაარჩენენ, არ დაუტოვებენ იმ უგულო მეფის სალდათებს საჯიჯგნად! ჰმ, რაღას გადაარჩენენ. გოგიას ხომ ახსოვს, — აღარ სუნთქავდა ნესტორი. მაშ, მოჰკლეს, მოჰკლეს იმ ძაღლებმა?..

წრიალებს გოგია, კვნესის, სცივა გოგიას...

ბათუმის მისადგომებთან, ზღვის პირას, ვიღაცის ნასახლართან მოკრუნჩხულა გოგია. სძინავს. ცივა. საღამო ხანს მშრალი და თბილი იყო სილა, ღამე კი — გაცივდა, სულ უფრო და უფრო მოახლოვებულმა ტალღებმა სინესტე შემატეს. სცივა გოგიას, ტრიალებს, სულ მოიკრუნჩხა. გოგიას რა ხანია შემოაცვდა ოდესღაც კოხტა, გამოწკეპილი ჩაქურა, პავლია ჩალვადარმა რომ შეუკერა ბახმაროს მიუვალ მთებში სასიარულოდ.

სცივა გოგიას, სცივა, წრიალებს, მხარს იცვლის და თავს მაინც ვერ ართმევს ძილს. ძალიან დაიღალა გოგია. ხუმრობა ხომ არაა — ოზურგეთიდან ბათუმამდე ფეხით მიხვიდე! მერე, რამდენი იხეტიალა ამ უშველებელ ქალაქში, — იქნებ იმ მუშას — სევასტის — შეხვედროდა სადმე, ბახმაროს კრებაზე რომ გამოვიდა ბათუმელი მუშების სახელით! რას შეხვდებოდა?! ბათუმი ლიხაური ხომ არ ეგონა გოგიას, — ჯვარზე რომ გახვალ და მიკითხვა-მოკითხვით ყველას მიაკვლევ.

მაინც რამხელა ქალაქი ყოფილა ეს ბათუმი!— როგორი სწორი, სუფთა, მოკირწყლული ქუჩები; შნოიანი, მაღალ-მაღალი სახლები, მაღაზიები. აბა, ოზურგეთს კი არა ჰგავს!

გოგია გაუბედავად მიიპარებოდა კედელ-კედელ, — დაბნეული და გაოგნებული. რამდენი ხალხი!.. და ყველა თავის საქმეზე მიიჩქარის, არავის სცალია გოგიასათვის. მერე — ეტლები!...

უკვირდა გოგიას: ოზურგეთში მარტო სამი ეტლი თუ იყო: ერთი —მომრიგებელ-მოსამართლის, ერთი—თავად ნაკაშიძეების, და ერთიც — ქალაქელი ნიკასი, აქ კი...

მაგრამ გოგიას ყველაზე უფრო ანცვიფრებდა ზღვა. მას ხომ მხოლოდ შორიდან, ბახმაროს ზეგანიდან ენახა ზღვა! კარგ ამინდში გამოჩნდებოდა ხოლმე შორს, შორს, პრიალა, გასხივოსნებული, მშვიდი ზედაპირი. აქ კი... როგორ ბობოქრობს, შხუის, რამხელა ტალღებს მოაგორებს, — თითქოს აი, მოვარდება და გაგიტაცებს! მიუხედავად ამისა, როცა დაღამდა და ამ უცხო ქალაქში გოგიამ მწვავედ იგრძნო მარტოობა და მიუსაფრობა, მაინც ზღვის პირს მიაშურა, აქ მოიკალათა — ვიღაცის ფიცრული ღობის ნარჩენებთან.

სილა ჯერ კიდევ თბილი იყო, უკანასკნელი მზის სხივიც იმ ფიცრებს მინათებოდა. კარგა გვარიანად მოეწყო გოგია. დაღლილ-დაქანცულს მაშინვე ჩაეძინა და მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების სურათები წარმოუდგა თვალწინ...

აი, გოგია ეწერში მუშაობს, — მამასთან. რა ფესვმაგარია ეს კუნძები, თითქო სამუდამოდ ჩაჭედილან მიწაში, და რომც დააკვდნენ გოგიაც და მოხუცი ესიაც, მაინც არ დანებდებიან... რამდენი ქვა უნდა გადაზიდო ამ ხრიოკი ფერდიდან ქვევით, მდინარემდე!.. ჩაიტან, ჩააწყობ ნაპირზე, მიიხედავ და... წყალს წაულეკავს. კიდევ და კიდევ, —ზიდე ქვები, ჩაჰყარე, იქნებ როგორმე დაიოკო და წყალს არ წაალებინო მთელი ეს ნაწვავ-ნადაგი ყანა...

სძინავს გოგიას... შრრ-შრრ-შრრ,—შხუის ზღვა. ჩხრიაკ! რა მოხდა? — ჭარიკა გატყდა, დიდი ჩაფი! რაღა

ქნას ახლა გოგიამ, ხომ მოჰკლავს მამა! რამდენი ილოცა, რამდენი ევედრა უფალს,—ღმერთო, იქონიე მოწყალება, მიშველე, გამიმრთელე ეს ჭარიკა, შენ ხომ ყოვლის შემძლე ხარ! რემდენჯერ უთქვამს მღვდელს ეკლესიაში: „რწმენით, დიდი რწმენით ილოცე და მთებს დაძრავს ღმერთი შენი თხოვნითო“.

რა მხურვალე რწმენით ლოცულობდა გოგია, როგორ სჯეროდა, — გამრთელდება ჩაფიო, მაგრამ მოჰკიდა თუ არა ხელი, —ისევ ისე ორად გაიშალა ის წყეული. მოწყალე ღმერთიო? ნეტა გოგიასთანა საწყალ ბიჭს თუ არ შეიწყალებდა, ვიღას შეიწყალებდა?



მას აქეთ გოგიას აღარც ღმერთი სწამს და აღარც მღვდელი.

უ-უ!! —სცივა, სცივა გოგიას, მოიკრუნჩხა, ერთი ციცქნა გახდა.

შრ-შრრ-შრრ, —სულ უფრო და უფრო ახლო მოიწევს ზღვა, შხეფებს აყრის გოგიას, სულ გაწუწა, მაგრამ მაინც თავს ვერ ართმევს ძილს.

ნეტა რა ხმაურობს ასე? ზღვა, ის მთის მდინარე ტყეში, თუ ცეცხლი, ყაზარმებს რომ წაუკიდეს გოგიამ და ნესტორმა? უ-უ, რამხელა ალი ავარდა, სულ ტკაცატკუცი გაჰქონდა, მთელი ოზურგეთი გაანათა! როგორ დარბოდნენ სალდათები, ისროდნენ: ჩხაკ... ჩხაკ!.. ტიელები!

შრრ, შრრ, შრრ... როგორ ცივა. ამხელა ხანძარი ანთია და, როგორ სცივა გოგიას. იკრუნჩხება გოგია. ან კი რა გაათბობს? ზღვის ტალღა სულ ახლო და ახლო მოიწევს, მოგორდება შხუილით, შეეჯახება გოგიას ფიცრულ საფარს, დაიმსხვრევა და უკანვე გაიშრიალებს; სილა კი სულ სველია. მხარს იცვლის გოგია, ხან მარჯვენაზე დაწვება, ხან მარცხენაზე, წრიალებს!..

— ეი, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი! ადე, ტალღებმა არ ჩაგითრიოს!

გოგია დაფეთებული წამოვარდა.

— რაა, ვინ?..

სამი ბიჭი წასდგომოდა თავს.

— სადაური ხარ, სოფლიდან ჩამოხვედი?

— თქვენ ვიღა ხართ? — იჭვნეულად შეეკითხა გოგია: იმთავითვე არ მოუვიდა თვალში დაფლეთილ, ქალაქურ პიჯაკებში გამოწყობილი ეს შავ-შავი ბიჭები.

— არ უყურებ, ვინაობასაც გვეკითხება! — გაიცინა ერთმა, — წამო, წამო, ძმავ,— ხომ ხედავ, ლამის ზღვამ წაგიღოს. კიდევ კარგი, გზად გამოვიარეთ, —ისე გაგიტაცებდა, ვერც კი გაიგებდი.

მართლაც და, სულ უფრო და უფრო მაღალი ტალღა აწყდება ნაპირს, — ფოლადისფერი, მოლურჯო, საშიში.

— წამო, წამო!

სხვა რა გზა ჰქონდა გოგიას, სად წასულიყო? ორი დღე დაეხეტებოდა ქალაქში. ყოველ გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა, — იქნებ სევასტი-მუშა ეპოვნა სადმე!..

... ერთ ძველ, ნახევრად დანგრეულ სახლში მიიყვანეს. ქვედა სართულის ერთ ოთახს ჯერ კიდევ შერჩენოდა სამი კედელი, — მეოთხე სულ გამოენგრია ზღვას. აქ მოეკალათათ გოგიას ახალ ნაცნობებს. ჭუჭყი, ნაგავი, რაღაც უსუფთაო ჩვრები!.. ეს, ცოტა არ იყოს, არ ეპიტნავა სისუფთავეს მიჩვეულ გურული გლეხის ბიჭს. ჭერზე და კედელზე აბლაბუდები ისე მიმოფენილიყო— მებადურის ბინაში ბადეს რომ გაჰფენენ გასაშრობად. ბუხარში ცეცხლი დააგიზგიზეს, —გოგიას გათოშილ სხეულს სითბო ეამა...

ხის სკივრთან ჩამოსხდნენ, ვინ — დიდ სიპ ქვაზე, ვინ — ხის მორზე. მშვენიერი შოთი პურებით და ჭყინტი ყველით გაუმასპინძლდნენ. გათბა, გაშრა გოგია.

— როგორა ხარ, გურულო? — შეეკითხა უფროსი ბიჭი.

— შენ რა იცი, რომ გურული ვარ?

ბიჭებმა გაიცინეს:



— სიფათზე გეტყობა. რისთვის ჩამოსულხარ?
— საქმე მაქვს.
— რა საქმე?
— ერთ კაცს დავეძებ.
— ვინ არის, რა კაცია?
გოგიამ იჭვნეულად გახედა აბეზარს და არაფერი არ უპასუხა.
— მაშ, როგორ ეძებ, სახელი მაინც არ იცი?
— სახელი — პეტრე, — უცებ მოიგონა გოგიამ,—სხვა არაფერი არ ვიცი.
— ჰმ, რა უხდონი არიან ეს გლეხები! —ჩაიცინა უფროსმა, — ბიჭო, ჟანდარმები ხომ არა გგონივართ, —როგორი კაცია?!
— ეს თქვენი საქმე არ არის, —წამოდგა გოგია.
— დაიცა, სად მიდიხარ, ასე იხდი მადლობას, რომ შეგიხიზნეთ და მოგიარეთ?
— მე თქვენთვის არაფერი მითხოვია, ისე კი... მადლობელი ვარ...
— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ვის უნდა შენი მადლობა, —გაიცინა უფროსმა, —წამო, ჩვენც მოვდივართ!..
ბიჭები დატრიალდნენ, უცებ მიკეც-მოკეცეს თავიანთი ბარგი-ბარხანა, თუ რამ გააჩნდათ, კუთხეში მისდეს და წასასვლელად მოემზადნენ.
— წამო, მოვძებნოთ ის შენი პეტრეა თუ ივანე, — გაიცინა უფროსმა.
ქუჩაში უკვე ხალხი ირეოდა. გოგია ყურადღებით აკვირდებოდა ყოველ გამვლელს, მაგრამ სევასტი არსად ჩანდა. მაინც აქ, ამ ფართე, დიდსახლებიან ქუჩაზე, სადაც მისმა ახალმა მეგობრებმა გაიყვანეს, მუშები ნაკლებ ჩანდნენ. ერთი გოგო ისე ჰგავდა დაშას, რომელიც გოგიასთან ერთად მსახურობდა მოსამართლესთან ოზურგეთში, რომ გოგიამ კინაღამ დაუძახა. მაგრამ დროზე შეიკავა თავი: ან რაში სჭირდებოდა ახლა დაშა, თუნდაც მართლა ის ყოფილიყო, —ისე, უბრალოდ, გაეხარდა, რომ ნაცნობ სახეს მაინც მიამსგავსა ვიღაც ამ უცხო ქალაქში,
— კოლა, გაიხედე, —ჩასჩურჩულა უცებ პატარა ბიჭმა უფროსს და ვიღაც ჩასუქებულ მამაკაცზე მიუთითა, რომელიც დიდი სასურსათო მაღაზიის კარებში შედიოდა, პალტოს კალთა გადაეწია და შარვლის ჯიბიდან კარგა ჩასქელებულ საფულეს იღებდა.
კოლამ მაშინვე საქმიანი იერი მიიღო, აწრიალდა. დაწვრილებული, გამომცდელი თვალებით აათვალიერა გოგია და მკლავში ხელი სტაცა:
— გესმის, შენ — გურულო! შევიდეთ; რამე ვიყიდოთ, — უმალვე გაიტაცა მაღაზიაში, სწორედ იმ ჩასუქებულ კაცს ამოუდგა გვერდით, მერე მხარი ინაცვლა, გოგიას მეორე გვერდით მოექცა და ჩასჩურჩულა:
— იდექი აქ, რაც არ უნდა მოხდეს, არ გაიქცე, გესმის? თორემ ციხეში ჩაგსვამენ. შენზე არავინ იფიქრებს... — და გაეცალა.
გოგია ჯერ გონს ვერ მოსულიყო, რომ ჩასუქებულმა ჯიბეზე იტაცა ხელი და შეჰყვირა: „—მომპარეს, მიშველეთ!“ ერთი გიჟივით მიმოიხედა, ჯერ გოგიას სტაცა ხელი, მერე ისევ კარებისაკენ გაიქცა.
ხალხი აწრიალდა; გოგია ვერც კი არჩევდა —ვინ სად გარბოდა, ვინ ვის ეჯაჯგურებოდა. კოლა და მისი ამხანაგები გარბოდნენ და გაიძახოდნენ, — „დაიჭი, ქურდი!“ ვინ ვის მისდევდა — ვერ გაიგებდი.
დაზარალებული ისევ მაღაზიაში შემობრუნდა და გოგიას ეცა, რომელიც ისევ ისე გაშეშებულივით იდგა იმავე ადგილას.
— ეს იყო ჩემს გვერდით, სწორედ ეს — ჩაქურაში რომ გამოწყობილა, —შესძახა ჩასუქებულმა. გოგიას შემოეხვივნენ, ერთი-ორი მუჯლუგუნიც ჰკრეს, სულ გაჩხრიკეს. რას იპოვნიდნენ, — გოგიას გროში კაპიკიც კი არ გააჩნდა!..
— შენა ხარ, შენ იყავი! — გაჰკიოდა დაზარალებული და უცებ ისე მწარედ ჩაარტყა თავში, რომ გოგიას თვალთ დაუბნელდა. ახლა სხვები მიცვივდნენ და... ალბათ, ხელში შემოაკვდებოდათ საბრალო ბიჭი, რომ ვიღაც მადლიანი ბერიკაცი არ გამოსარჩლებოდა.
— როგორ გეკადრებათ, ხომ მოჰკლით ბავშვი! — შესძახა მოხუცმა და ხელიდან გამოსტაცა გოგია, — ნეტა რა უგავს ქურდს, არა ხედავთ, — სოფლელი ბიჭია!
ამან, ცოტა არ იყოს, შეცვალა განწყობილება.
— საწყალი, რახან ღარიბულად აცვია — უთუოდ ქურდი უნდა იყოს? — გაისმა აქა-იქ.
— ქურდი აქ გაგიჩერდებოდათ, სწორედ!..
— ვინა ხარ, ბიჭო, აქ რა გინდა, სადაური ხარ? — ეკითხებოდნენ გოგიას.
დაზარალებულმა მწარედ ჩაიქნია ხელი და გარეთ გავიდა. მალე გაისმა პოლიციელის სასტვენის ხმა.
გოგია ისევ ისე იდგა გაშეშებული, არ იცოდა, რა ეთქვა, რა მოემოქმედებინა. საქმეში მედუქნე ჩაერია.
— წადი, წადი, ძმობილო, სანამ არ ჩაგსვეს! ნეტა, რომელი მყიდველი შენ მყევხარ. წადი, შენს გზას გაუდექი, — და ხელიც კი წაუბიძგა კარებისაკენ, — მადლობა თქვი, რომ იოლად გადარჩი...
გოგია გარეტიანებული გავიდა მზით განათებულ ქალაქში, ისე გაიარა მთელი ქუჩა — გონს არ მოსულა. უცებ, ზღვის ხმაური შემოესმა და სანაპიროს გაჰყვა...
აი, ვინ ყოფილან მისი ახალი ამხანაგები!.. ესლა აკლია გოგიას! რა ჰქნას ახლა, სად წავიდეს? წუთით შე-

ჩერდა, მიმოიხედა. ირგვლივ ღარიბული ქოხმახები იდგა, ქალები რაღაც შალეულს რეცხდნენ ზღვაში. მინგრეულ-მონგრეულ ღობეებზე ძველმანები მიმოეფინათ. ყველა უნდოდ უყურებდა, — თითქოს აი, ახლა გაჰქურდავდა გოგია. იქნებ ეს ეჩვენებოდა უკვე შეშინებულ ბიჭს? ყური უწიოდა. რა მაგრა ჩაარტყა იმ უსინდისომ. ჩაჰქოლავდნენ ალბათ, ის მადლიანი ბერიკაცი რომ არ გამოსარჩლებოდა. კარგი მეგობრები კი გაიჩინა! ამიტომ ჩამოვიდა ბათუმში? ამიტომ იარა ორი დღე მშიერ-მწყურვალმა?...

მაინც, რა სულელია გოგია, რატომ ეგონა, რომ ბათუმი აბობოქრებული მუშებით სავსე ერთი დიდი სოფელია და ყოველი მეორე კაცი იცნობს მის სევასტიმუშას... რა ქნას ახლა? საით წავიდეს? გავიდეს, ერთხელ კიდევ გაიაროს?... არა, იქ ველარ გავა. იმდენი ხალხი ქურდს ეძახდა, სცემეს კიდეც. ვაი სირცხვილო! ის კი არა, ამ ქუჩის გადაჭრასაც ველარ ბედავდა, ვაითუ დაინახონ, იცნონ და... ამისთვის ჩამოვიდა ბათუმში, რომ ამ ავაზაკებს გადაჰყროდა?! რაღა ქნას გოგიამ, საით წავიდეს!.. უცებ, სიცილი მოესმა. ზღვის პირას ნაცნობი სახეები მოელანდა. ო-ო, ისინი არიან, — კოლა და მისი ამხანაგები! სუფრა გაუშლიათ; ვიღაც ჭრელკაბიანი გოგოც რომ უშოვიათ! იცინიან, კვდებიან სიცილით. ღვინოც რომ უდგათ!..

გოგიამ პირდაპირ მათკენ გაალაჯა.

— ვა, გურულო, — იცნო კოლამ, — მოდი, ბიჭო, სად დაიკარგე! სწორედ, შენს სადღეგრძელოსა ვსვამდით...

გოგია კოლასთან მივიდა, ერთი კი ჩახედა შავ, ურცხვ თვალებში, მერე უცებ გააქანა და ისეთი ჩააფარა, — სულ კოტრიალით წავიდა იმოდენა ბიჭი.

— რაო? — წამოცვივდნენ ზეზე მეინახეები, მაგრამ გოგიამ თითო გარტყმით გაგორა ყველანი.

— ქურდებო, ავაზაკებო! — შესძახა გოგიამ და, რახან თავისი საქმე მოთავებულად ჩათვალა, გაცლა დააპირა, მაგრამ ამ დროს კოლა უკვე მოსულიერდა და, მუხლებზე წამომდგარმა, მძიმედ გამოცრა მეჩხერი კბილებიდან:

— უჰ, შე ძაღლო, ძაღლის შვილო! მადლობის მაგიერია, რომ მიგიღეთ, გიპატრონეთ, შე გლეხუჭავ, შენა. — და ნელა წამოვიდა წინ.

კოლას ხელში დანამ იელვა, მაგრამ გოგიამ აღარ დააცალა, უცებ აუკრა ხელი და სარმაც გამოსდო.

ისევ ტლაშანი გაადინა კოლამ. მაგრამ ახლა ორი უმცროსი მიახტა გოგიას, დანა შორს გადავარდნილიყო და მზეზე ელვარებდა.

— ეი, შეჩერდით, რა ამბავში ხართ? — ორი კაცი წასდგომოდათ თავს. — აი, თქვე ავაზაკებო, სამი ერთზე? ვაჟკაცებო!

მოძალადენი გაიფანტნენ.

— ადე, ბიჭო, ხომ არ დაგჭრეს? ჰმ, სამი ერთზე, და ისიც — დანით.

გოგიამ ძლივს გაახილა სისხლით ამოვსებული თვალები.

— ვინა ხარ, სადაური ხარ, ან რას გედავებოდნენ?

გოგია სდუმდა. ნეტა ვინ არიან თვითონ ესენი? უშველეს კია, მაგრამ... იმ არამზადების მერე, გოგია ასე ადვილად აღარავის ენდობა.

— აღარ იტყვი, ბიჭო? მუნჯი ხომ არა ხარ!

— თვითონ თქვენ ვინა ხართ? — უნდოდ გამოელაპარაკა ბოლოს გოგია.

— ერთი ამას დამიხედეთ, იქნებ პასპორტი წარმოგიდგინოთ? — გაიცინა ერთმა, უფრო ახალგაზრდამ, მერე დააკვირდა და მეორეს გადაულაპარაკა:

— დაიცა, ეს სევასტის გოგია არ იყოს, — არ ხედავ: როგორაა გამოწყობილი?!

— სევასტიო?! — გოგიამ ყურები სცქვიტა.

— სევასტი, ეი, სევასტი! — დაიძახა ახალგაზრდამ.





შორიახლო ოთხიოდე მუშა ცხარედ კამათობდა. ყველამ მოიხედა და გოგია ადგილიდან მოწყდა.

— სევასტი ბიძია, სევასტი ბიძია! — მიჰქროდა გოგია, — მე გოგია ვარ! ხომ გახსოვთ, ბახმარო, ნიკო სტუდენტი, ნესტორ ბიძია... არ გახსოვთ?

— რაი, გახსოვსო? შენ რა გითხარი მე, მახსოვს კი არა, დავწყდით შენი ძებნით, — ეუბნებოდა სევასტი, თან იცინოდა.

გოგია გაოცდა:

— მერე, თქვენ რა იცოდით, რომ აქა ვარ?

— ვიცოდით, — ჩაიცინა სევასტიმ, — ჩვენ ყველაფერი ვიცით. წამო ახლა, შევატყობინოთ ჩვენებს, თორემ მესამე დღეა ბიჭები გეძებენ.

— ჩვენ ყაზარმები დავწვით, იქ — ოზურგეთში. მე... ნესტორმა... და... უცებ მოვარდნილმა სევდამ ყელში წაუჭირა; ნესტორის დაღუპვა, ამდენი ხნის უგზო-უკვლოდ ხეტიალი უცხო ქალაქში... ეს არამზადები! ქურდობის დაბრალება! — ყველაფერმა ერთად იფეთქა და გოგია მდუღარე ცრემლებით აქვითინდა.

— ნესტორი მოჰკლეს, ბიძია სევასტი?..

— არა, გოგია, დამშვიდდი, ნესტორი ცოცხალია.

— რაო?

— ჰო, ცოცხალია, ისე დაგიმალავს ფოთლებით, — სალდათებს ვერ უპოვნიათ. მერე ჩვენებმა მიაგნეს: შენ არ მიასწავლე ილიკოს, სადაც იყო?· ჰოდა, უპოვნიათ, და გაუყვანიათ. მთაშია ახლა, უკვე მოკეთდაო.

— მართლა? — შესძახა გოგიამ.

— მართლა, აბა ტყუილად? წამოდი ახლა, აქ რას აკეთებ, რამ გადაგკიდა მაგ ავაზაკებს?

გოგიას ისედაც ანთებული სახე, კიდევ უფრო წამოენთო:

— ბიძია სევასტი, მე მუშაობა მინდა თქვენთან!..

— ჰმ, — ჩაიცინა იმ ახალგაზრდამ, პირველად რომ ნახა გოგია,— მუშაობა ბარემ ჩვენც გვინდა, მაგრამ ახლა, ძამიკო, გაფიცვაა, არ იცი? არაფერია, წამო, ჩვენთან არ დაიკარგები!..

ასე იპოვა გოგიამ სევასტიმუშა. და მერე... მერე კიდევ ბევრი რამ გადახდა თავს!..



„ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წითელი ყელსახვევი ერთმანეთის მხარდამხარ".

## ყოჩაღ, ბიჭებო!

იდგა საზაფხულო არდადეგები. პიონერ-მოსწავლეები მთელ დღეებს ზღვის სანაპიროზე ატარებდნენ, — მალაყებზე გადადიოდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში, ქვის სროლასა და სირბილში. ასე იყო იმ დღესაც; ბიჭები ჩვეულებრივად შეიკრიბნენ სანაპიროზე და, როცა ბანაობით გული იჯერეს, მზით გახურებულ ქვიშაზე გაგორდნენ. ამ დროს მესაზღვრეებმა სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევი ჩაატარეს.

— ბიჭებო! ხედავთ, კიდევ ერთი არამზადა შეიპყრეს ჩვენმა მესაზღვრეებმა, — თქვა ანდრეი კომარმა.

— უჰ, მაგათი... — წამოიძახა ზურაბ კუციამ და საზღვრის დამრღვევს თვალი გააყოლა.

—იდეა, იდეა, ბიჭებო! — ახლა რევაზ ცარია წამოხტა და ტანზე აკრული სილა ხელისგულებით ჩამოიბერტყა.

— ერთი შენც. ყოველთვის ასე იცი: წამოიძახებ, — „იდეა, იდეა!" და ისეთ რაღაცას შემოგვთავაზებ ხოლმე, რომელიც არაფერში არ სწერია,—შეაწყვეტინა ნუგზარ გიორგაძემ.

— არა, ნამდვილად, საინტერესო რამეა, — დაიჟინა რევაზმა.

— სთქვი, რა იდეაა — ნუღარ აგრძელებ! —შესძახეს სხვებმაც.

— სადარაჯოზე მივიდეთ, მაიორი ვინახულოთ და ვთხოვოთ, — თავის რაზმში ჩაგვწეროს, — მესაზღვრეებს მივეშველოთ, — თქვა რევაზმა და თან თავის მეგობრებს გადაავლო თვალი, — აბა რას იტყვიანო.

— ბიჭოს! — მხარზე დაჰკრეს რევაზს ხელი, — ეს მართლაც კარგი იდეაა! —

სიტყვა და საქმე ერთი იყო; როცა ბიჭებმა მაიორი მიხეილ გოგიბერაშვილი ინახულეს და თავიანთი გულისნადები გაანდეს, — მაიორს გაეღიმა, მოეწონა კიდეც ბიჭების გადაწყვეტილება და თქვა:

— კეთილი, დავმეგობრდეთ, ერთმანეთს ძმურად გავუწოდოთ ხელი, დაგვეხმარეთ, ჩვენც დაგეხმარებით, მაგრამ რაზმში ჩაწერის პირობას მაინც ვერ მოგცემთ, — უფლება არა მაქვს.

დაღონდნენ ბიჭები და ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდნენ, რომ:

მაიორმა ტელეფონის ყურმილი აიღო:

— ალო, პიონერთა სახლია?.. სთხოვეთ დირექტორს.. გამარჯობათ, ქალბატონო როზა! მაიორი გოგიბერაშვილი გაწუხებთ...

მაიორმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. პიონერთა სახლშიც მოიწონეს ბიჭების აზრი.

—რაკი აგრეა, დავიწყოთ მეგობრობა თუნდაც იმით, რომ ხვალ დამსვენებელთა ერთი ჯგუფი გემზე ექსკურსიას აწყობს, ჩვენც იქ ვიქნებით, — მესაზღვრეები. ჰოდა, თუ პიონერების სურვილიც იქნება, წამოვიდნენ ჩვენთან ერთად.

# № 555

აბა, ასეთ გასეირნებაზე ვინ იტყოდა უარს? ყველა სიამოვნებით დათანხმდა. მეორე დღეს მზიანი დილა გათენდა. პიონერები და ექსკურსანტები დანიშნულ ადგილზე შეიკრიბნენ და მერე ყველა ერთად გემზე ავიდა. გემი ნელი სვლით შეერია ზღვის ტალღებს. ირგვლივ საერთო მხიარულება სუფევდა. ამ დროს, ექსკურსანტებს ერთი კაცი გამოეყო და ფოტოაპარატი მოიმარჯვა. იღებდა თითქმის ყველას და ყველაფერს. პიონერების ფხიზელ თვალს ეს არ გამოეპარა. რევაზ ცარია ვიტალი კეტიას მიუახლოვდა და თვალით უცნობზე ანიშნა. მერე, ბიჭებმა ანდრეი კომარი მიიხმეს და, — მაგას თვალი არ მოაშოროო — უთხრეს. ანდრეიმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. რევაზმა და ვიტალიმ მაიორი მოძებნეს და ყველაფერი უამბეს.

— კეთილი, — თქვა მაიორმა, — თვალყური ადევნეთ, ხელი არ შეუშალოთ, აკეთოს თავისი საქმე, არ აგრძნობინოთ, რომ მეთვალყურეობის ქვეშ არის. აბა, გასწით! — დასძინა ბოლოს და თვითონ ექსკურსიამძღოლთან მივიდა, უცნობის ვინაობა იკითხა.

არ ვიცნობთო, — უთხრეს.

უცნობს არც ერთი კუთხე არ დაუტოვებია გემზე ისეთი, რომელიც ფოტოფირზე არ აღებეჭდა. არც ბიჭები იყვნენ უქმად, — სულ ფეხდაფეხ სდევდნენ მას და ყოველი მისი ნაბიჯი შეისწავლეს.

დღე მიიწურა. გემი ნაპირს მიუახლოვდა. შთაბეჭდილებებით სავსე ექსკურსანტები ნაპირზე გადადიოდნენ. ანდრეი, ვიტალი და რევაზი, ვითომ შემთხვევით, უცნობის გვერდით აღმოჩნდნენ. ის იყო იმათაც შედგეს ფეხი ტრაპზე, რომ მესაზღვრეებმა უცნობი დააკავეს და... თავის გზას გაუყენეს.

გემიდან გადმოსული პიონერები მაიორს შემოეხვივნენ. მაიორმა სათითაოდ ყველას მაგრად ჩამოართვა ხელი. პირველი გამარჯვება მიულოცა.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — კეთილი ღიმილით დასძინა ბოლოს.



## შტაბი

პიონერთა სიმამაცის ამბავი სწრაფად გავრცელდა. ყველა აღტაცებული იყო ბიჭების მოხერხებულობით. ამ ამბავმა ბევრ პიონერს სურვილი აღუძრა — გამხდარიყო მესაზღვრის მეგობარი და ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრების დაცვის საქმეში თავისი წვლილი შეეტანა. და აი, ერთ დღეს, პიონერთა სახლში შეიკრიბნენ პიონერები. იქვე იყვნენ პიონერთა სახლის დირექტორი როზა ჯოლოგუა და მაიორი მიხეილ გოგიბერაშვილი. შეკრებაზე გადაწყდა შექმნათ მესაზღვრეების ნორჩ მეგობართა შტაბი. პიონერებმა შტაბის უფროსად დანიშნეს პიონერთა სახლის დირექტორი—როზა ჯოლოგუა, კომისრად ვიტალი კეტია, ხელმძღვანელად, — მესაზღვრე ვიქტორ ნიკიშოვი. შტაბის შემადგენლობაში სულ ცხრა კაცი შევიდა.

— ეს, რაც თქვენ გააკეთეთ, კარგია, — სიტყვა აიღო მაიორმა, მაგრამ ხომ არ გავიწყდებათ, რომ თქვენს სასაზღვრო მაგიდას ესაჭიროება დანომვრა და რომელიმე გამოჩენილი ადამიანის სახელის მინიჭება?

— იდეა, იდეა! ბიჭებო! — მოულოდნელად წამოიძახა რევაზმა. ბიჭებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს; მაგრამ, იქნებ ამჯერადაც კარგი რამ შემოგვთავაზოსო, — ხელი არავის არ შეუშლია.

— წინადადება შემომაქვს, — განაგრძო რევაზმა, — ჩვენს შტაბს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირი-მესაზღვრის ივანე ვასიუხნოს სახელი, ხოლო მაგიდა დაინომროს 555-ით.

— ის, რომ ჩვენი შტაბი ატარებდეს ივანე ვასიუხნოს სახელს, — მომწონს და მიხარია კიდეც, — თქვა ანდრეი კომარმა, — მაგრამ რატომ დაინომროს ჩვენი მაგიდა მაინცა და მაინც 555-ით, ეს ვერ გავიგე.

— აქ გაუგებარი არაფერია, — თქვა რევაზმა. — 555 იქნება ჩვენი მაგიდის ნომერიც და დევიზიც: ვისწავლოთ 5-ზე, დავეხმაროთ მესაზღვრეებს 5-ზე და შევისწავლოთ მესაზღვრის საქმე 5-ზე.

— ბიჭოს! შენ ამ ბოლო დროს მართლაც კარგი აზრები მოგდის თავში, — აღტაცებით შესძახა ზურაბ კუციამ და თან მეგობრულად წაჰკრა ხელი.

მაიორმა და მისმა მესაზღვრეებმა კარგი საჩუქარი მიართვეს თავიანთ ნორჩ მეგობრებს, — საგუშაგოდან მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრის შტაბამდე საველე ტელეფონი გაიყვანეს; არც თვითონ პიონერები იყვნენ უსაქმოდ, — საკუთარი ძალებით მოაწყვეს რადიოკვანძი, საიდანღაც, მწყობრიდან გამოსული ველოსიპედი მოიტანეს, გაარემონტეს, დანომრეს 555-ით და შიკრიკს ჩააბარეს. მშობლებისა და უფროსი მეგობრების დახმარებით ნორჩმა მესაზღვრემ გალინა დუდარევამ თავის თანატოლებს ფორმა შეუკერა და ახლა, რაზმის ყველა წევრი, — ხაკისფერ შარვალ-ხალათში გამოწყობილი, — ნამდვილ მესაზღვრეს ჰგავს.



— საზღვრის დამრღვევი აგერ, იქ შევიპყარით, — ეუბნება გამოცდილი მესაზღვრე თავის ნორჩ მეგობარს.

## ალო! № ნაწილი!

თენდება. ქალაქი თანდათან იღვიძებს, მეეზოვეები გულდაგულ ასუფთავებენ ქუჩებს, ბაღებსა და სკვერებს. ღამის დარაჯები სახლებისკენ მიდიან, ყველაფერი თავისი რიგით მიდის და თითქოს საგანგაშოც არაფერია. მაგრამ აი, მესაზღვრის ნორჩ მეგობართა შტაბიდან არუთინ ზადიკიანმა ველოსიპედი გამოაგორა, ზედ შეახტა და გეზი სადარაჯოსაკენ აიღო.

შტაბში კი მეკავშირე-ტელეფონისტი ნინო მჟავანაძე რაზმელებს უკავშირდებოდა და ყველას ფეხზე აყენებდა:

—ალო! შოთა! 555. ალო! ვიტალი! 555. ალო! ანდრეი! № ნაწილი. ალო! ზურაბ! № ნაწილი. — და ყველა მათგანმა უკვე იცოდა, თუ ვინ სად უნდა გამოცხადებულიყო, — ვისაც 555-ს ეტყოდა, ის შტაბში მიიჩქაროდა, ხოლო ვისაც — № ნაწილს, — სადარაჯოზე გარბოდა.

ამასობაში არუთინ ზადიკიანი სადარაჯოზე მივიდა. ანდრეი და ზურაბი უკვე იქ დახვდნენ. მესაზღვრეები საძებრად გასვლას აპირებდნენ. ბიჭები რაზმს შეუერთდნენ და ზღვის სანაპიროს გაჰყვნენ. არუთინი მეგზურობდა. უცებ, შეჩერდა და ხელი წინ გაიშვირა:

— აგერ, იქ!

— თქვენ აქ დარჩით! — ბრძანა მესაზღვრე ვიქტორ ნიკიშოვმა. მერე მესაზღვრეებმა ავტომატები მოიმარჯვეს და ფრთხილად წავიდნენ წინ. ხმელეთზე ამოთრეულ ნავთან ოთხი კაცი იწვა. მესაზღვრეებმა ზემოდან შემოუარეს, ნავი იფარეს და ავტომატმომარჯვებულები თავს წაადგნენ.

— ადექით! — გაისმა მკაცრი ბრძანება.

არც ერთი არ განძრეულა. ოთხივეს ეძინა.

მესაზღვრეები უფრო ახლოს მივიდნენ, — დააცქერდნენ.

— შემოპარულებს არ გვანან,—თქვა ვიქტორ ნიკიშოვმა და ყველა გაალვიძა.

დამსვენებლები აღმოჩნდნენ, დამთვრალიყვნენ და სანაპიროზე ჩასძინებოდათ. მაგრამ სასაზღვრო რეჟიმი ხომ დაარღვიეს? უნდა დაისაჯონ! დაისაჯნენ კიდეც.

## ანდრეი კომარი

რაზმში თუ ვინმეზე იტყვიან „ოქროს ხელები“ აქვსო, ანდრეი კომარზე ამბობენ. მართლაც რომ ოქროს ხელები აქვს ანდრეის, მაგრამ...

— აი სწორედ, ჩვენც ეს „მაგრამ“ გვაწუხებდა. — თქვა ხელმძღვანელმა ალექსანდრე მაღლაკელიძემ. — ანდრეი ცუდად სწავლობდა სკოლაში. ზედიზედ ღებულობდა ორიანებს და გადავწყვიტეთ ეს საკითხი შტაბის მორიგ სხდომაზე გაგვეტანა განსახილველად.

და მართლაც, შტაბის იმდღევანდელ სხდომაზე მხოლოდ ანდრეის საკითხს იხილავდნენ. პიონერებმა ბევრი იმსჯელეს, მიზეზიც ჰკითხეს ანდრეის, — ხომ არაფერი გიშლის ხელს, გვითხარი, დაგეხმარებითო, — ეუბნებოდნენ მას. ანდრეი კი, თავჩაქინდრული იდგა და სდუმდა — ხმას არ იღებდა.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა. ნინო მჟავანაძემ ყურმილი აიღო, მერე შტაბის უფროსს მოახსენა: — ანდრეი კომარს სადარაჯოზე იხმობენო.

ანდრეი გამოცოცხლდა: „ახლა კი გადავრჩი“, — გაიფიქრა მან და მერე შტაბის უფროსს მიაცქერდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო შტაბის უფროსმა. — რაკი საგუშაგოზე იხმობენ, — სჩანს, საჭიროა. წინადადება შემომაქვს, შევწყვიტოთ სხდომა და საკითხის განხილვა შემდეგისათვის გადავდოთ.

ანდრეი ისარივით გავარდა სადარაჯოსაკენ. როცა მაიორის ოთახში შევიდა, სულს ძლივს ითქვამდა. მაიორს გაეღიმა და უთხრა:

— ყოჩაღ, ანდრეი! სწრაფად მოხვედი. დაჯექი.—მერე იქვე მჯდომ ვიქტორ ნიკიშოვს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა:

— ამხანაგო ნიკიშოვ! მე იძულებული ვარ საყვედური გითხრათ; ნორჩ მესაზღვრეთა შტაბში, რომლის ხელმძღვანელიც თქვენ ხართ, ოროსანი გყოლიათ. და მერე ვინ? შტაბის უფროსის მოადგილე! სამარცხვინოა!

— ამხანაგო მაიორო, — დარცხვენით დაიწყო ანდრეიმ, — ნიკიშოვი არაფერ შუაშია. დამნაშავე მე ვარ... რა ვქნა, არ მიყვარს წიგნი... გულს ვერ ვუდებ...

— რაო, წიგნი არ გიყვარს? შენ იცი, რომ უწიგნო კაცი — ეს იგივეა, რაც გაშლილ ზღვაში უკომპასო გემი? იცი, რომ წიგნის გარეშე არ არსებობს ცოდნა? — თქვა მაიორმა და მერე ნიკიშოვს მიუთითუნდა: — თუ კომარს კვლავაც ექნება ცუდი ნიშნები, — გამოიყვანეთ შტაბის შემადგენლობიდან.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, ამხანაგო მაიორო და პირობას ვდებ, — ხუთოსანი თუ არა, ოთხოსანი მაინც გავხდები...

ამ საუბრის შემდეგ თითქმის ორმა წელმა გაიარა, ანდრეი ახლა კარგად სწავლობს, — პირობა გაამართლა.

## პირველი შეკრება

იმ დღეს, მესაზღვრის ნორჩი მეგობრის შტაბმა მოაწყო პირველი შეკრება, რომელიც საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების 45 წლისთავს მიეძღვნა. ახმიანდა ქალაქის მოედანი. ისმის მხიარული პიონერული სიმღერები და მარშები. აგერ, ანდრეი კომარი, ვიტალი კეტია, ზურაბ კუცია, აქვეა ნინო მჟავანაძე და... და ყველას ხომ არ ჩამოვთვლით? მოდიან და მოიმღერიან, გულით ხარობენ ნორჩი მესაზღვრეები...

დამთავრდა პარადი. პიონერ-მოსწავლეები საზეიმო ხაზზე დგებიან. მოკლე მისალმებების შემდეგ სიტყვას იღებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიორი მიხეილ გოგიბერაშვილი. მან სულითა და გულით მიულოცა პატარებს წარმატებები და თქვა:

— ჩემო პატარა მეგობრებო! საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების შტაბი გიცხადებთ მადლობას და გაჯილდოვებთ სამახსოვრო საჩუქრებით.

ერთსულოვანმა ტაშმა და ვაშამ აახმიანა შემოგარენი...

— საბჭოთა კავშირის საზღვრის ირგვლივ მოწყობილ ესტაფეტაში, — განაგრძო მაიორმა, — აქტიური მონაწილეობისათვის თქვენი შტაბი დაჯილდოებულია საპატიო სიგელით!

შემდეგ, მაიორმა მიხეილ გოგიბერაშვილმა რაზმის 47 აქტიურ წევრს საპატიო სიგელი გადასცა და განსაკუთრებული სიყვარულით ილაპარაკა მესაზღვრის ნორჩი მეგობრის შტაბის წევრზე— რევაზ ცარიაზე, რომელმაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მთავარი პოლიტსამმართველოს საპატიო სიგელი დაიმსახურა.

საზეიმო ხაზის შემდეგ მეგობრობის ესტაფეტა გაიმართა. ესტაფეტის შემდეგ კი პიონერებისა და მესაზღვრეების მეგობრობის ვეებერთელა კოცონი აგიზგიზდა. კოცონს მხიარული ფეიერვერკი მოჰყვა და, ბოლოს:

— იდეა, ბიჭებო, იდეა! — ყველას გასაგონად დაიძახა რევაზმა.

ბიჭები სმენად იქცნენ, — უთუოდ კიდევ რაღაცა საინტერესოს გვეტყვისო და ყველა გაჩუმდა.

— ბიჭებო, — განაგრძო რევაზმა, — უკვე დაღამდა, ჰოდა... ჰოდა, დროა სახლებში წავიდეთ!

ყველას გაეცინა.

## კიდევ ერთი დამრღვევი

ჰაერში სამი სხვადასხვა ფერის,—წითელი, მწვანე და თეთრი მაშხალა აიჭრა. განგაშია! სადღაც სასაზღვრო რეჟიმი დაირღვა. ნორჩი მესაზღვრეები სადარაჯოსაკენ გაეშურნენ. მეკავშირე ნინო მჟავანაძე ტელეფონს მიუჯდა და, ყოველი შემთხვევისათვის, — იქნებ რომელიმემ მაშხალები ვერ შენიშნაო, — რაზმელებს დაუკავშირდა; — ალო! განგაშია! № ნაწილი! — აცნობებდა ყველას.

მაიორი კმაყოფილი დარჩა, — ნორჩ მესაზღვრეთა უმრავლესობა დროზე ადრე გამოცხადდა სადარაჯოზე. ანდრეი კომარმა მაიორს უპატაკა:

— რაზმი მზადაა დავალების შესასრულებლად!

— კეთილი, აბა აქ მოდით, — თქვა მაიორმა, ბავშვები კედელზე გაკრულ რუკასთან მიიყვანა და დინჯად დაიწყო:

— დღევანდელი განგაში სასწავლო-საწვრთნელია. ასეთივე განგაში დღეს აჭარის სოფლებშიც გამოცხადდა. ჰოდა, რომელი რაზმიც ყველაზე ადრე აღმოაჩენს სასაზღვრო რეჟიმის „დამრღვევს“ — გამარჯვებულიც ის იქნება.

ბიჭებმა ყური სცქვიტეს.

— მაშ ასე, — განაგრძო მაიორმა,— საზღვრის დარღვევას ადგილი ჰქონდა აი აქ, — და მაიორმა ფანქრით რუკაზე პატარა ადგილი მოხაზა. — „დამრღვევი“ დაახლოებით ათი კილომეტრის რადიუსში მოქმედებს. საშუალო სიმაღლის კაცია, აცვია ხაკისფერი ლაბადა. ახვეული აქვს ყბა, — კბილის ტკივილის სიმულაცია! — დაამთავრა მაიორმა და ნორჩ მესაზღვრეებს გადახედა, — გაუგებარი ხომ არაფერიაო.

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა რევაზ ცარიამ. — ნება მოგვეცით შევუდგეთ ძებნას.

მაიორმა საათი დაინიშნა. ნორჩმა მესაზღვრეებმა სადარაჯო დასტოვეს. ცოტა ხნის შემდეგ მაიორიც გამოვიდა და მანქანაში ჩაჯდა, — თვალყურის სადევნებლად წავიდა. მანქანა სწრაფად მისრიალებდა ქალაქის შემოსასვლელისაკენ. უცებ, ავტობუსის გაჩერებასთან ნორჩი მესაზღვრეები შენიშნა. არ ესიამოვნა. მაიორის მანქანა ბიჭებმაც შენიშნეს. ერთი მათგანი მაიორთან მიიჭრა და, ვიდრე რამეს ეტყოდა, მაიორმა უსაყვედურა, — სადარაჯოზე რატომ არ მოხვედითო.

— ამხანაგო მაიორო, — დაიწყო ანატოლიმ, — მაშხალები ჩვენც შევნიშნეთ და წამოვედით კიდეც, მაგრამ აი, ერთი საეჭვო კაცი შევნიშნეთ და იმას მოვყვებოდით კვლადაკვალ.

— სად არის? — მოკლედ იკითხა მაიორმა. ბიჭებმა ავტობუსის გაჩერებასთან მდგომი კაცი დაანახვეს. მაიორმა ღიმილი ველარ დამალა. მერე საათს დახედა და თქვა:

— ერთი საათი და ოცი წუთი! — კარგია! ძალიან კარგია! მაშ ასე, თამაში დამთავრებულად ჩაითვალოს.

ბიჭები ვერაფერს ვერ მიხვდნენ და გაოცებულები შესცქეროდნენ მაიორს.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — განაგრძო მაიორმა. —დღევანდელი საგანგაშო მაშხალები სასწავლო იყო. ამის შესახებ თქვენი ამხანაგების ნაწილმა სადარაჯოზე გაიგეს. ჰოდა, თქვენც გაიგებდით, იქ რომ მოსულიყავით, მაგრამ ახლა ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ არ გამოცხადდით სადარაჯოზე. ის კაცი, თქვენ რომ ნიშანში ამოიღეთ, საზღვრის პირობითი, სასწავლო დამრღვევია, — დაამთავრა მაიორმა და საზღვრის „დამრღვევი“ თავისთან მიიხმო. მერე ყველანი მანქანაში ჩასხდნენ და სადარაჯოზე წავიდნენ.

სულ მალე ნორჩ მესაზღვრეთა შეკრება გაიმართა. შეკრებაზე ნორჩ მესაზღვრეთა საწვრთნელი თამაშის შედეგები შეჯამდა. პირველი ადგილი ჩვენმა ნაცნობმა ბიჭებმა აიღეს და საპატიო სიგელიც მათ დაიმსახურეს.

**თემურ ცაგარელი**



უბნის მორიგე შემოვლის წინ, ვიქტორ ნიკიშოვი და მისი რაზმი სადარაჯო კოშკიდან ათვალიერებენ მიდამოს.



# თეთრი ქვა

ტატიანა ტესი

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

სოფელი სერპუშინკა ბორცვზე იყო შეფენილი. სოფლიდან მომავალი ბილიკი ერთ ხანს მინდორსა და არყნარს გასდევდა, შემდეგ ხევში ეშვებოდა. ხევში კი ჩუხჩუხებდა და მოხტოდა ნაკადული. ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი მეკობრეთა ხომალდივით მიუყვებოდა წყალს თავქვე. ფოთოლი ერთბაშად, გადარეულივით დატრიალდა და შემდეგ ისევ განაგრძო გზა, ახლა უკვე დინჯად და ზეიმურად, — თითქოს ნავსაყუდელში მიდის, სადაც დიდი ხანია ელიანო.

სერპუშინკელი ბავშვები ამ გზით დადიოდნენ სკოლაში და უკვე ისე გაეტკეპნათ იგი, რომ დაღმართში ფეხებს თავისთავად მივყავდი. ხევსა და ტყის გადაღმა, გზის პირზე თეთრად მოჩანდა ახალი შენობის ქვის კედლები: ეს იყო სკოლა. ერთხელ, როცა საბჭოთა მეურნეობიდან სერპუშინკაში ვბრუნდებოდი, გადავწყვიტე, — გზად სკოლაში შემევლო.

რუსული ენის გაკვეთილზე მოვხვდი. სულ ბოლო მერხზე კედელთან მოვეწყვე ისე, რომ წინ მსხდომი ბავშვების მხოლოდ კეფას ვხედავდი. ჩემს წინ ორი ბიჭი იჯდა. ერთი ძალიან გამართულად, გაუნძრევლად იჯდა, ზურგი სწორი ჰქონდა, კეფა მრგვალი. კოხტად შეკრეჭილი, წაბლისფერი მოკლე თმები გულმოდგინედ გადაეყო და დაევარცხნა. მეორე ბიჭი საოცრად მოუსვენარ არსებად მეჩვენა. ჯერ იყო და, რვეულში დაუწყო რაღაცას ძებნა, მერე წიგნი იატაკზე დაუვარდა, ხოლო როცა იმის ასაღებად დაიხარა, მერხს ისეთი რახარუხი აუყენა, რომ მთელმა კლასმა მოიხედა; მასწავლებელმა მკაცრად გააქნია თავი. ბიჭს კისერი ახალგაზრდა ხესავით მაგარი ჰქონდა, მაგრამ სჩანდა — დალაქის არც თუ ისე ხშირი სტუმარი უნდა ყოფილიყო და თმები კეფაზე ფრთებივით გამოზრდოდა.

—კუზნეცოვ, — თქვა მასწავლებელმა, — ვიქტორ კუზნეცოვ, გამოდი დაფასთან.

პირველი ბიჭი აუჩქარებლად გამოძვრა მერხიდან და მერხების მწკრივებს შორის გასასვლელით მასწავლებლისაკენ წავიდა. დაფასთან შემობრუნდა, და მე დავინახე მისი სახე; სახეც კეფასავით მრგვალი და აკურატული ჰქონდა.

— დაწერე: «Недвижим он лежал, и странен был томный мир его чела. Под грудь он был навилет ранен, дымясь из раны кровь текла...» — თქვა მასწავლებელმა, — და გამირჩიე წინადადება.

ვიქტორმა წერა დაიწყო, დაფაზე აკაკუნდა ცარცი.

— «Недвижим он лежал, и странен был томный

мир его чела...» — ჩაფიქრებით გაიმეორა მასწავლებელმა და მე იმ წამსვე დავინახე თოვლზე გართხმული ლენსკი, მუქი თმის კულულები, მარმარილოსავით თეთრი შუბლი, პოეტის ღრმა თვალები, რომლებსაც ნელ-ნელა სტოვებდა სიცოცხლე... «дымясь из раны кровь текла...» — წავიჩურჩულე მე უხმოდ და შევკრთი: ეს სტრიქონები ლახვარივით ეცა გულს.

ვიტიამ სტრიქონი ჩაათავა, ცარცი დადო და გულმოდგინედ შეიწმინდა ხელები. შემდეგ კლასისკენ შემობრუნდა და ხმამაღლა, სწრაფად და მტკიცედ დაიწყო წინადადების გარჩევა; მაგრამ ოი, საოცრებავ! ყოველ სიტყვაზე კვამლივით ქრებოდა მთელი ის ჯადოსნური სითბო, რომლითაც გამსჭვალულია პუშკინის პოემის ყოველი სტრიქონი.

ბიჭმა დაამთავრა და მომლოდინე თვალები მასწავლებელს მიაპყრო; ის კი ფანჯარაში იყურებოდა.

— დაჯექი, კუზნეცოვ, — უთხრა მან და, რატომღაც, ამოიხვნეშა.

გაკვეთილი დამთავრდა, სკოლიდან წავედი. ტყისკენ მიმავალ ბილიკზე გავედი თუ არა, უმალვე უკვე ნაცნობ მრგვალ კეფას შევასწარი თვალი.

ბიჭი აუჩქარებლად მიდიოდა, ხელში წიგნებიანი ჩანთა ეჭირა, მტკიცედ ადგამდა ფეხს, ახალი, ჯერ კიდევ მოუთელავი, მაღალყელიანი ფეხსაცმელები ეცვა. ჩქარა დავეწიე.

— გამარჯობა, ვიტია! — ვუთხარი მე, როცა გავუსწორდი. შენც სერპუშინკაში მიდიხარ?

ბიჭმა მძიმედ, მოზვერივით მოაბრუნა თავი.

— გამარჯობათ, — მითხრა ყოველგვარი გაკვირვების გარეშე. — დიახ, მე სერპუშინკაში მივდივარ.

— მამაშენი საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს?

— დიახ, მამაჩემი საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს, — მიპასუხა ვიტიამ და შევნიშნე, რომ იგი მპასუხობდა დასრულებული წინადადებებით, თითქოს რუსულის გაკვეთილზე ყოფილიყოს. — მამაჩემი ვეტექიმია; ადრე ვორონეჟში მუშაობდა და მთელი ოჯახი იქ ვცხოვრობდით: მე, მამა, დედა, ბებია და ჩემი და. ახლა კი სერპუშინკაში ვცხოვრობთ.

ტყესთან მივედით და ხევს ჩავუყევით. როგორც კი დავდგით ფეხი დაქანებულ, ხავსით დაფარულ ბილიკზე, სახეში უმალვე მეცა ფიჭვის კინკრიჟებისა და ნოტიო ქვიშის სურნელი. პატარა ობობა გადარეულივით კონწიალობდა ზედ ჩემს თავთან, შემოდგომის მოწყენილი მზე დაჰყურებდა ტყის მიწას, არყის ხეები თავმომწონე ლამაზმანებივით ეკეკლუცებოდნენ ქარს.

— რა სილამაზეა, არა? — ვთქვი მე.

— გაზაფხულზე აქ ისეთი ტალახები იცის — ვერ გააღწევ, — დიდკაცით განსაჯა ვიტიამ. — ზამთარში კი იმხელა თოვლს მოყრის, მუხლებამდე იფლობა კაცი. წინათ არასოდეს მცმია თექის ჩექმები. ვორონეჟში ქუჩებში თოვლს ხვეტენ, აქ კი ხან თოვლია, ხან ტალახი ანდა — წვიმა.

ჩანთა ხელიდან ხელში გადაინაცვლა და ნაკადულისკენ დაუყვა ბილიკს. მე უკან მივყვებოდი. ნაკადულზე, ამ ადგილას მსხვილი, კორძიანი ხე იყო გადებული. წყალსა და ქვიშას თავისი ექნათ, პირწმინდად გაერეცხათ ხე და ახლა იგი საგანგებოდ გაკრიალებულივით ბრწყინავდა. მე ამ ხეს მივაჩერდი.

— ვიტია, მისმინე, — ვუთხარი მე და ბიჭი შემობრუნდა.— შეხედე, აბა რას გაგონებს ეს ჯირკი? აბა, თუ იტყვი, რას გავს?

—ხის ნაჭერს,— თქვა ვიტიამ, როცა ჯირკი გულდაგულ შეათვალიერა.

— რას ამბობ! აბა უკეთ დააკვირდი: ის ხომ საოცრად ჰგავს ერთ ზღვის ცხოველს. ხედავ —აი, მისი დრუნჩი—და მე პატარა შოლტით შევეხე ჯირკის წაგრძელებულ ბოლოს, რომელიც შუაში იყო გაპობილი და დაბჩენილ ხახას ჰგავდა.

— ვხედავ, — თქვა ვიტიამ, — მერე რა?

— ეს როკები კი მისი ფარფლებია. ქვევით, სადაც ქერქის ნარჩენებია — მისი ფაფარია, ხედავ?

— ფაფარს ვხედავ, — თქვა ვიტიამ — მერე რა?

— ეს ხომ ზღვის ლომია! —გავასავსავე მე ხელები, —რა საოცარი მსგავსებაა! ცოცხალი ზღვის ლომი თუ გინახავს როდისმე?

— მინახავს, — თქვა ვიტიამ. — ვორონეჟში, ცირკში.

— იცი, ტყეში უამრავი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება, — ვთქვი და ნაკადულისაკენ განვაგრძე გზა. — აი, მაგალითად... — ხეშავას ბუჩქის ძირას დაგდებული, გამხმარი ტოტის პატარა ნატეხს დავწვდი და ავიღე, — შეხედე, ის ჰგავს მოხუცს, რომელსაც ხელში ფარანი უჭირავს. ეს ქერქის ნაჭერი კი — იალქნიან ნავს...

ვიტიას არ უპასუხია.

— და საერთოდ... ტყეში როცა ხარ, ყოველ ნაბიჯზე ხვდები საოცრებებს, — განვაგრძობდი მე. — ბუნება, ჩემო ძმაო, მხატვარიცაა, მოქანდაკეც და მეზღაპრეც... აბა, მე რას გიხსნი — შენ ხომ ყოველ ცისმარე დღე გიხდება ამ ადგილებზე გავლა! და ტყეში ალბათ ისეთი საოცრებანი გინახავს, როგორიც მე არც დამსიზმრებია.

— არა, — თქვა ვიტიამ მშვიდად. — მე აქ არაფერი არ შემიმჩნევია.

ნაკადულზე გავედით და აღმართს ავუყევით. გზის გასწვრივ ახალგაზრდა ფიჭვები აშოლტილიყვნენ, ნაძვებს კი თავიანთი ტოტების მწვანე კარავი მოეჩრდილებინათ ბილიკისთვის. ამ სიჩუმეში უცებ გადარეულივით იკივლა ძველმა ჭორიკანამ — ჩხიკვმა და გარემოს აუწყა ტყის რაღაც ახალი ამბავი.

რა შენიშნა ტევრში? ჩამოცვენილ ფოთლებს შორის თეთრ ელვასავით გამკრთალი სამეფო ყარყუმი, უცხვირპირო ზღარბი. რომელიც ფრთხილად, მიიკვლევს გზას და ეკლებით ეზიდება არყის ოქროსფერ ფოთლებს? ან იქნებ, უბრალოდ, მე და ვიტია დაგვინახა?

მინდოდა ამაზე მეკითხა ბიჭისთვის, მაგრამ უცებ, სულ სხვა რაღაც ვკითხე:

— რა ნიშნები გაქვს სკოლაში?

— მხოლოდ ხუთები. — ტრაბახის კილოთი არ უთქვამს, უბრალოდ მაცნობა, როგორც ფაქტი — მორჩა და გათავდა.

— ყოჩაღ! — ვუთხარი მე ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— მაგრამ მე სულ არ მაინტერესებს ამ სკოლაში სწავლა, — უცებ დაუმატა ვიტიამ ისევე წყნარი, მშვიდი ხმით.

— ეს როგორ?

— ჩვენს კლასში ბევრია ჩამორჩენილი, — ამიხსნა ბიჭმა, — მე არ მაინტერესებს მათთან ერთად სწავლა. მასწავლებლები ყოველ გაკვეთილზე მათთან ჩიჩინს უნდებიან. მე კი მწყინდება, რადგან ეს ყველაფერი უკვე გავიარე, და კარგადაც ვიცი. ჩვენს კლასში მე ყველაზე ძლიერი მოწაფე ვარ, — თქვა მან. აშკარად ჩანდა, რომ ვიღაც სხვის ნათქვამს იმეორებდა, — მე ვორონეჟშიც ძლიერი ვიყავი. მაგრამ იქ უფრო საინტერესო იყო სწავლა.

— მისმინე... — მე ყურადღებით დავაკვირდი მას. — თუ კარგად სწავლობ, შენ ხომ შეგიძლია, დაეხმარო სხვებს? იცი მე დარწმუნებული ვარ, თუ დანარჩენებს დაეხმარები, შენთვის უფრო საინტერესო გახდება კლასში ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, — თქვა მან მტკიცედ. — ეს არ იქნება ჩემთვის უფრო საინტერესო. ჯობია, ეს დრო მე წიგნის კითხვაზე დავხარჯო ანდა კინოში წავიდე. თქვენ გინახავთ სურათი „შესანიშნავი შვიდეული“?

—მინახავს, — ქუშად მივუგე.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით.

— ვიტია,— დაბოლოს ვთქვი მე, — კარგად ცურავ?

— იცით რა... — ვიტია ოდნავ გაწითლდა.—არც თუ ისე. დედას არ უყვარს, როცა მე მდინარეში ვბანაობ. პატარა რომ ვიყავი — ეშინოდა, მდინარის აქეთა ნაპირზე დაიხრჩობაო. ახლა კი, როცა გავიზარდე, იმის შიში აქვს, ვაითუ მდინარე გადაცუროს და გაღმა ნაპირზე დაიხრჩოსო.

— გასაგებია,—ვთქვი მე.—მაგრამ წარმოიდგინე, რომ შენ მაინც გადასწყვიტე ისწავლო ცურვა. და უცებ წყალმა ჩაგითრია, იხრჩობი. წყალში შენ გვერდით სხვა ბიჭია, რომელიც კარგად ცურავს. როგორ გგონია, უნდა დაგეხმაროს?

— რასაკვირველია, უნდა დამეხმაროს! — ვიტიამ გაოცებით შემომხედა. — ხომ შეიძლება დავიხრჩო!

ერთხანს ისევ ვდუმდით.

— როცა·გაიზრდები, შესაძლოა, შენთვის ნათელი გახდეს, რომ ცხოვრებაში ბევრია ერთიმეორეზე დამოკიდებული, — ვუთხარი მე. —და კაცი უნდა ისწრაფვოდეს დაეხმაროს სხვას ყოველთვის, როცა ის მის დახმარებას საჭიროებს — დიდი იქნება ეს საქმე თუ მცირე. სხვანაირად არ შეიძლება, ჩემო ძმაო. ძალიან ცუდია, ცხოვრობდე ამ ქვეყნად და არავისი გედარდებოდეს. ცუდია და უინტერესოც.

— მშვიდობით! — თავაზიანად დამემშვიდობა ვიტია. უშფოთველად შემომცქეროდნენ მისი ნათელი თვალები. — მე მარცხნივ წავალ, ჭალაზე, —ჩემთვის აქედან უფრო მოკლე გზაა.

ის არყნარისკენ გაუყვა ბილიკს, მოსაწყენი, ლოყებღაჟღაჟა, პატარა მოხუცი, სკოლის ფორმაში, თავკერძა ხუთოსანი, რომელსაც ამ ქვეყნად არავისი და არაფრისა არ ედარდება.

გავიდა რამდენიმე დღე. სკოლაში მეტი აღარ მივსულვარ. მაგრამ ერთხელ, როცა სერპუშინკაში ფეხით ვბრუნდებოდი და ხევში ჩავუხვიე, ჩემს წინ ბიჭი შევნიშნე. პირველად ვიტია მეგონა, მერე კი მივხვდი, რომ შევცდი.

ბიჭი ჩემკენ ზურგით იდგა და ნაკადულის წყალს ჩასცქეროდა, კისრისტეხით რომ გადარბოდა ქვებზე. კეფა მეცნაურა. ჩემი ფეხის ხმაზე ბიჭი შემობრუნდა და ვიცანი. სკოლაში ის ვიტიას გვერდით იჯდა.

მოუსვენარი, ნათელი თვალები ჰქონდა. ნაკადულთან მოჯარული ნაძვების ტოტების სიმწვანე ირეკლებოდა მათში და თვალები ორ პატარა მწვანე ტბასავით უჩანდა. მაღლა შემართული, მორკალური წარბები ჰქონდა, ნიკაპი მტკიცე, თითქოს მუშტიაო; ნაკადულის პირას, ქვიშაზე იდო წიგნებიანი ჩანთა.

ბიჭი შემობრუნდა და ისევ წყალს დააცქერდა. პირველად ვერ გავიგე, რას აკვირდებოდა ასე გულდაგულ, რამ დააინტერესა.

ნაკადულის წყალი მირბოდა და თან მიჰქონდა ჩამოცვენილი ფოთლები, გამხმარი ბალახი, როკები. მოძალებულ ნანიავქარევს წყალი შეეგუბებინა; წყალში ცეკვავდნენ, ხტოდნენ მარგალიტის მკვრივი ბურთები. დავაკვირდი და, გაოცებისაგან სახტად დავრჩი.

ქვიშაში გაჩენილი ღრმულიდან პატარა წყარო მოსჩქეფდა. წყლის ნათელი ძარღვი თითქოს ფეთქავდა. და იყო რაღაც დიდებული იმ უტეხ ძალაში, რომლითაც ეს ცოცხალი ძარღვი ნაკადულთან შესართავად მიიკვლევდა გზას ქვიშის სქელ ფენაში. ბიჭი მოჯადოებულივით შეჰყურებდა მას.



— უჰ, შენი გულისა, როგორ რაკრაკებს, —თქვა მან ჩურჩულით. — გეგონება — ბულბულიაო...

რატომ მოაგონდა ბულბული? ისევ წყაროს შევხედე და უცებ მივუხვდი ნაფიქრალს.

წყლის ვერცხლისფერი ნაკადი ბულბულის რაკრაკივით ლაღად და ბედნიერად იღვრებოდა. იგი ქვიშის ღრმა, ნაზ ყელში იბადებოდა და იქიდან ქარის სუნთქვასა, მზის ელვარებასა და ტყის შარიშურისკენ ილტვოდა. მასში ძგერდა იგივე სიწმინდე, ამაღლებულობა და ტკბობა, როგორსაც ბულბულის სტვენისას ვგრძნობთ.

პატარა ნაცრისფერი ჩიტი, ბუნების დიდი მომღერალი!

ბიჭმა ხმელი ფოთლები მოქექა და ხის ქერქის სქელი ნაჭერი აიღო. ქერქს გული ამოჭრილი ჰქონდა და ფუკის კუტალს ჰგავდა.

ბიჭმა კუტალი წყაროს შეუშვირა და სმა დაიწყო.

— აი, მესმის წყალი! ამისთანას ვერსად შეხვდები... — თქვა მან, შემდეგ ცალი თვალით ჩემსკენ გამოიხედა და მკითხა: — იქნებ გაგესინჯათ?

— მომეცი.

წყალი საოცრად ცივი იყო. ისეთი ცივი, რომ ერთბაშად მკერდი გამეყინა, თითქოს ყინულის ნაჭერი გადამეყლაპოს. წყალს რკინის, პიტნისა და კიდევ რაღაც უცხო, ტყის ჯადოქრული სურნელი ჰქონდა. არ მწყუროდა, მაგრამ ტუჩი ვერ მოვწყვიტე და ვწრუპავდი, ვიდრე კუტალში რამდენიმე მსხვილი წვეთიღა არ დარჩა. დარჩენილი წყალი ბილიკზე გადავასხი და კუტალი ბიჭს გავუწოდე.

— კარგია? — სიამაყით მკითხა მან.

— ნამდვილად რომ კარგია, — ვთქვი დარბაისლურად.

ბიჭმა კუტალი ისევ ძველ ადგილზე დადო და ფოთლები წააფარა. ერთხანს იდგა და მომლოდინედ შემომცქეროდა, მივხვდი, წასვლა უნდოდა და ერიდებოდა ჩემი დატოვება, თითქოს ტყის წყალმა, რომელიც ორთავემ დავლიეთ, გაგვაცნო ერთმანეთს.

— თეთრი ქვა გინახავთ? — ბოლოს მკითხა მან ჩახლეწილი ხმით და ყურები აუწითლდა.

— არა, არ მინახავს, — გამოვტყდი მე.

— შემიძლია გაჩვენოთ, — თქვა ბიჭმა ჩურჩულით, თითქოს საიდუმლოს მანდობსო.

ის ნაკადულის ნაპირს დაუყვა, მე უკან გავყევი. ნაკადულის კალაპოტს ახლა ხშირი ტირიფნარი მოეძალა. მუქად მოჩანდა მათი დახრილი ტოტები, რომლებიც ხშირ თაღს ქმნიდნენ. ჩვენ ამ თაღქვეშ შევედით, და უცებ, როგორც კი თვალს მიეფარა მაღალი, ნათელი ცა, ჩამობნელდა, მოიქუშა — თითქოს გამოქვაბულში შევსულიყოთ. ტოტები მედებოდა მხრებზე, მირტყამდა ზურგზე, წელში მოხრილი მივდიოდი და თვალს არ ვაშორებდი ნაკადულს. წყალი უკვე აღარ იყო სარკესავით კრიალა. შავი, პირქუში ფერი დაჰკრავდა და ნედლი შეშის სუნი ასდიოდა. ბოლოს ბიჭმა გადასწია უკანასკნელი ტოტიც და სინათლეზე გამოვედით.

და აქ დავინახე თეთრი ქვა.

ის იდო ნაკადულში, — სუფთა, კრიალა წყლისგან განბანილი და შაქარივით თეთრი. დიდი, ხორკლიანი ქვა იყო. მისი ყოველი ძარღვი ნაკადულს გაებრიალებინა და მასიურ ტანზე, როგორც ადამიანს ხელისგულზე, სასიცოცხლო ხაზებივით გასდევდა.

თვითონ წყალიც, რომელიც ამ ქვისკენ მირბოდა, თვალისმომჭრელად კრიალა მეჩვენა, — თითქოს ქვა გაუთეთრებია და მერე თვითონვე შეუწოვიაო ეს სითეთრე.

ბიჭმა ქვას შემოუარა, მე კვალდაკვალ მივყვებოდი. და ისიც, რაც ახლა დავინახე, როცა ქვას მეორე მხრიდან შემოვუარე, მშვენიერი იყო.

სამხრეთიდან თვალისმომჭრელად თეთრი ქვა, ჩრდილოეთის მხრიდან მალაქიტივით მწვანე იყო. სველი, კრიალა ხავსი მითიური წყლის კაცის წვერებივით ეკიდა. ამ წვერის ნაკადულში ჩაშვებულ სქელ ბოლოს წყალი ათამაშებდა.

არყის ფოთლები ხავსს ოქროს სამკაულებივით აკვროდა.

— ასეთ ქვას ვერსად ნახავ, — თქვა ბიჭმა.

მე თავი დავუქნიე და თითქმის უხმოდ გავიმეორე: — ვერსად!

ბიჭი იდგა. მუშტივით მკვრივი ნიკაპი სინათლისაკენ გაეშვირა და რაღაცას უსმენდა.

მეც ყური მივუგდე და ტყის სიჩუმე ჩემთვისაც უცებ აივსო ოდნავ გასაგონი ხმებითა და ფაჩუნით.

ზედ ჩემს თავს ზემოთ გაისმა სტვენა და ჭრიალი. და ეს ახალი ხმა გასროლასავით გამაყრუებლად ძლიერი მეჩვენა. ცაში რამდენიმე იხვი დავინახე, ისინი დასავლეთისაკენ მიფრინავდნენ.

— თეთრი ტბისკენ მიფრინავენ... — თქვა ბიჭმა და ფრინველებს თვალი გააყოლა.

მან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ქვას, თითქოს თავის კუთვნილ ძვირფასეულობას, და ფერდობს შეუყვა. ტყის იმ ბილიკზე გავედით, რომლითაც მე ჩვეულებრივ დავდიოდი სერპუშინკაში.

ყველაფერი ნაცნობი იყო და თან ახლა ყველაფერი ახლებურად მეჩვენებოდა. ჩემი თანამგზავრი თითქმის არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ხანდახან შეჩერდებოდა და რაღაცას დააკვირდებოდა. მეც ვჩერდებოდი და ყოველთვის რაღაც ახალს და საოცარს ვპოულობდი.

ხან ეს იყო სათითურას ნაგვიანევი ყვავილი, ხან — ნაძვისძირში კუდიანივით წამოსკუპებული, საბედისწეროდ ლამაზი შხამა სოკო...

ჩემს თვალწინ ყველაფერი ცოცხლდებოდა, ყველაფერი ახლებურად ჩანდა, თითქოს ბიჭი ჯადოსნური ჯოხით ეხებოდა ხეებსა და ბალახს, ჩიტებსა და ქვებს, — ყველაფერს, რასაც ხედავდა.

ის მოაბიჯებდა ჩემს გვერდით, პატარა ჯადოქარი, ქუსლებმოქცეულ ფეხსაცმელებში. ჩქარი სიარულისაგან, მზედაკრული ლოყები გაუვარდისფრდა.

— რა გქვია? — ვკითხე. როგორღაც ერთბაშად მოვისაზრე, რომ აქამდე არ ვიცი მისი სახელი.

— ტიმოთე, — მიპასუხა მან დინჯად.

ტყე გათავდა, ახლა ბილიკს მდელოს პირას მივყვებოდით; მარჯვნივ, მდელოს გადაღმა, ქოხი გამოჩნდა. ქოხს რომ შემოვუარეთ, ბიჭმა სარკმელში შეიხედა.

— ლიზავეტა! — დაუძახა მან. — შენ რა, გძინავს? ერთი ამას დამიხედეთ, როგორ ჩაკეტილა! აბა, გააღე ფანჯარა...

წარმოუდგენლად წვრილი, ყლორტივით ხელი ნელა გამოჩნდა და ძლივსძლივობით გახსნა საკეტი. ფანჯარა გაიღო და ხელი დაიმალა.

— გამარჯობა! — თქვა ტიმოთემ და ჩაახველა.

— გაგიმარჯოს!.. — უპასუხა წვრილმა ხმამ შიგნიდახ.

— წაიკითხე წიგნი?

— წავიკითხე... — თქვა იმავე წყნარმა ხმამ.

— გიჩვენებ სეირს! — თქვა ტიმოთემ მკაცრად. — ვისადილებ თუ არა, მოვალ. მარია პეტროვნამ რუსულში იმდენი მოგვცა, რომ იცოდე, გადაირევი!

— დეიდა პანია უკვე გეძებდა, — თქვა ხმამ.

— მეძებდა რა, ფულიანი ქისა ვარ? — თქვა ტიმოთემ დიდკაცურად.

— არაფერი საჭირო არაა ჩემი ძებნა. რახან ვთქვი, მაშასადამე, მოვალ.

ის ფანჯრის რაფაზე გადაიხარა.

— მომეცი რვეულები.

მეც შევიხედე ოთახში.

საწოლზე იწვა გოგონა, სანთელივით გაყვითლებული სახით. მუხლები მოხრილი ჰქონდა, საბანშიც კი მოჩანდა მათი შესაშინებელი სიგამხდრე. წვრილი თითები, საბნის კიდეს რომ აწვალებდნენ, ისეთი თეთრი და მსუბუქები იყვნენ, თითქოს ეს ადამიანის ხელი კი არა, მისი ანარეკლიაო წყალში. ბალიშზე ეწყო ორი მსხვილი ნაწნავი. გოგონამ ნელა მოაბრუნა თავი ჩვენსკენ და სახე დაემანჭა, სჩანდა — სულ პატარა მოძრაობაც კი საშინელ ტკივილს აყენებდა.

ახლა მე ახლოს ვხედავდი მის სახეს, ნაზი, გამჭვირვალე, ფერდაკარგული კანით. დიდი, მუქი თვალები პირდაპირ შემოგვცქეროდნენ. გოგონამ ნელა გაიღიმა.

— მომეცი რვეული, გესმის? — უბრძანა ტიმოთემ.

— უჰ, რა შემაშინე, — თქვა გოგონამ და უხმოდ გაიცინა. — რა მკაცრი ხარ, ტიმოშა, პირდაპირ გული მისკდება...

მერე რვეულები გამოუწოდა და ტიმოთემ ისინი იღლიაში ამოიჩარა.

— აბა, ჯერჯერობით, — ბოხი ხმით თქვა მან. — ვჭამ და მოვალ. ფანჯარა დაგიკეტო?

— ჯერჯერობით, — წვრილი ხმით, ექოსავით წყნარად გამოეპასუხა გოგონა. — ნუ დაკეტავ, არ გინდა...

ტიმოთე მოცილდა რაფას და გზა განვაგრძეთ.

— რა დაემართა ამ გოგონას? — ვკითხე, როცა სახლს დავშორდით. — დიდი ხანია ავადმყოფობს?

— ხუთი წელია წევს, — თქვა ტიმოთემ. — რაღაც ასეთი ავადმყოფობაა... პოლუარტრიტი თუ პოლიარტრიტიო, ასე ამბობს ჩვენი მასწავლებელი.

ერთხანს ვდუმდით.

— ოღონდ, მე მგონია, რომ მაგას ახლა პოლუარტრიტი კი არა, მთელი არტრიტი უნდა ჰქონდეს, — ამოიხვნეშა ტიმოთემ. — წინათ ადგომა მაინც შეეძლო, ახლა კი აღარ შეუძლია. ვერც ჯდება, ვერც დგება. ფეხებსაც ველარ შლის. მე ყოველდღე მოვდივარ მასთან, გაკვეთილებს ვამზადებთ, რაც შეუძლია, ცდილობს... ოღონდ, გერმანულში მიიღო სამიანი. დიდი ავი მასწავლებელი გვყავს.

დაბალ ღობესთან მივედით და შევჩერდით. ჭიშკართან ძმებივით, ტოტებჩახლართული სამი მუხა იზრდებოდა.

ტიმოთემ ყურადღებით შეხედა მათ. მეც შევხედე. ფოთლებს შორის ტოტიდან ტოტზე ობობას ქსელი იყო გაჭიმული, მზის სხივს შეეღწია ხის გვირგვინის სიღრმეში და ობობას ქსელი ოქროს კარავივით ბრწყინავდა.

— არ იცით, მართალია თუ არა, მუხა სამას წელს ძლებსო რომ ამბობენ? — თქვა ტიმოთემ.—ყვავი კი ათას წელს ცოცხლობსო. ეს ჩვენმა კლასელმა ვალოდიამ მითხრა. ოღონდ იმას ბევრი არ დაეჯერება, ტყუილები უყვარს...

ბიჭმა ამოიხვნეშა და ჩემსკენ შემობრუნდა. — ჩვენ აქ ვცხოვრობთ, — თქვა მორიდებით და ყურის ბიბილოები ისევ გაუვარდისფერდა.

— აბა, კარგად იყავი, ტიმოთე, — ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე. — გმადლობ, რომ თეთრი ქვა მაჩვენე.

მან უნდობლად გამომიწოდა ხეშეშა, ფიცარივით მოუქნელი ხელისგული და პარმაღისკენ გაიქცა.

მე კი ვიდექი და შევცქეროდი სამ მუხას. მაგონდებოდა ხევი, ნაკადული, ტყის ბილიკი, რომელზეც მე და ტიმოთემ გავიარეთ — ნაცნობი ბილიკი, რომელზეც უცებ ყველაფერი ახალი და საკვირველი მეჩვენა, თითქოს მას ჯადოსნური ჯოხით შეხებოდნენ.

რა ჯადოსნური ჯოხი იყო ის, რომელიც ტიმოთეს ხელთ ეპყრა?



# ქართული ისტორიული ძეგლების სიმბოლური დეკორი



ბრინჯაოს ბალთა (ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე) მზის ღვთაების — ცხენის გამოსახულებით. მასზე აღბეჭდილია მზის აღმნიშვნელი კონცენტრული წრეები. ბალთა ელინურ ეპოქას მიეკუთვნება.

საქართველო მდიდარია ძველი მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა ისტორია და არქიტექტურა მრავალ ტურისტს აინტერესებს და იზიდავს. ჩვენი ლექტორები და ექსკურსიამძღოლები ცდილობენ, რაც შეიძლება სრულად და მრავალმხრივ გააცნონ მათ ესა თუ ის ძეგლი; მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად სრულიად არ იხსენიებენ ძეგლების ერთ მეტად საინტერესო მხარეს — სახელდობრ, ცალკეულ დეკორატიულ ელემენტთა სიმბოლურ ხასიათს, რის გამოც იჩქმალება მათი ნამდვილი შინაარსი.

ქართული ტაძრების სიმბოლურ დეკორში, მაგალითად, ყურადღებას იპყრობს უძველეს წარმართულ და უგვიანეს ქრისტიანულ ელემენტთა შერწყმა. ზოგჯერ დეკორში ვხვდებით ისეთ ემბლემებს, რომელთა ანალოგიები მოიძებნება ახლო და შორეულ აღმოსავლეთშიც კი. მაგალითისათვის ავიღოთ მცხეთის (სვეტიცხოველი, ჯვარი) და ბოლნისის ტაძრები. სვეტიცხოვლის გარე კედლებზე გამოსახულია მრავალფეროვანი სიმბოლოები. აღმოსავლეთის ფასადზე ყურადღებას იპყრობს ოდნავ დაზიანებული ორი ხარის თავი, რომლებიც, უთუოდ, რომელიღაც უძველესი წარმართული ტაძრიდან არის გადმოღებული. ხარების თვალთა ირგვლივ ამოტვიფრულია სპირალის სამი კონცენტრული წრე, რაც ამ გამოსახულების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. აღნიშნული დეტალი უცხოა ქრისტიანული



ხარის თავი (ბოლნისის ტაძრიდან. V საუკუნე)

გამოსახულებებისათვის და ნასესხებია უძველესი დროის წარმართულ სიმბოლიკიდან.

სპირალის კონცენტრული წრე მზისა და სიცოცხლის



მზის ემბლემის კონცენტრული წრეების ანალოგიები. ხეთების მზის ღვთაება. (ცენტრი — კონცენტრული წრე).

სიმბოლოა. ჩვენ მას ვხვდებით ე. წ. მზის ციკლის ღვთაებრივ გამოსახულებებზე, მაგალითად, ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ბრინჯაოს ბალთებზე, ხეთურ საკულტო დანიშნულების საგნებზე, სხვადასხვა ავგაროზზე, საბრძოლო საჭურველსა და თიხის საოჯახო ჭურჭელზე.

ჯვრის მონასტერში არის გველის სიმბოლური გამოსახულება. ეს გამოსახულება ეკუთვნის იმ ხანას, როცა გველი ჯერ კიდევ საოჯახო კერის მფარველად ითვლებოდა. ქრისტიანობამდე ეს სიმბოლო მეტად პოპულარული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის — საქართველოშიც, მაგრამ მისი მნიშვნელობა სავსებით შეიცვალა ქრისტიანულ ეპოქაში.

საინტერესოა ბოლნისის ტაძრის დეკორატიული მოტივები. როგორც ცნობილია, საქართველოს ეს უძველესი ტაძარი აგებულია V საუკუნეში, მაშინ, როცა ქრისტიანობა ჩვენში ის-ის იყო ფეხს იდგამდა და ჯერ დავიწყებული არ იყო წარმართული იდეები. ამის ნათელი დადასტურებაა ტაძრის დეკორის სიმბოლოები. აქ, ქრისტიანული ჯვრის ქვეშ გამოსახულ ხარის თვალებს შემოვლებული აქვს ტრადიციული წარმართული კონცენტრული წრეები.

ზოგჯერ სიმბოლიკა ლამაზ, მაგრამ რეალურ საფუძველს მოკლებულ ლეგენდებს ბადებს ხოლმე ხალხში; ასეთია, მაგალითად, ლეგენდა სვეტიცხოვლის აშმენებლის — არსაკიძის მოკვეთილი ხელის შესახებ; ნამდვილად კი, მცხეთის ემბლემა (ხელი გონიოთი) ნიშნავს მხოლოდ მშენებლობის ემბლემას, რომლის ანალოგია სხვა ტაძრებშიც გვხვდება.



მზის გამოსახულება კონცენტრულ წრეებში. (დმანისის შუასაუკუნეების კერამიკა).

სიმბოლიკის ზუსტ ახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს უძველესი კულტურის მრავალი საკითხის სწორად გაგებისათვის.

**მ. ვადბოლსკი**



«პიონერი» მეტად საინტერესო და კეთილშობილურ საქმეს შეუდგა; ესთეტიკური აღზრდის კლუბი მოსწავლე ახალგაზრდობას გაუნათებს მხატვრული აზროვნების გზას, დახვეწს, გაალამაზებს და გაამდიდრებს მის გემოვნებას, სულიერ სამყაროს; ასწავლის მხატვრული შედევრების შექმნის საიდუმლოებას.

სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას,— თქვენ, ძვირფასო ბავშვებო, და თქვენს კლუბს — ამ კარგ საქმეში.

ლადო გუდიაშვილი

უყურებთ და გიკვირთ, რომ ხანდაზმულობამ ოდნავადაც ვერ დაუცხრო შემოქმედებითი ჟინი და ენერგია. იგი მუდამ ანთებულია და უხილავი ცეცხლით იწვის. მუდამ შფოთავს, მუდამ რაღაც აწუხებს. თქვენ ესაუბრებით, გინდათ სულში ჩახედოთ და საიდუმლოება ამოიკითხოთ, მაგრამ მას უხილავი შთაგონება აუჩინარებს და თვალსა და ხელს შუა იკარგება. გრძნობთ, რომ იგი სხვა სამყაროში ტრიალებს და თქვენგან ძალიან შორსაა. მიჯრით გაირბენენ დუმილის წამები. იგი უცებ ეთიშება ოცნებას და თქვენ გიბრუნდებათ. გესაუბრებათ ტკბილად და მშვიდად, ძალიან შთამაგონებლად და ნათლად. დროდადრო ბავშვივით მორცხვობს. მის შემოქმედებაზე რომ მიდგება საქმე — მოუსვენრად წრიალებს, ხელებს იფშვნეტს, წითლდება და ყოველნაირად ცდილობს სხვა რამეზე გადაიტანოს სიტყვა. თქვენ ძალაუნებურად წარამარა გაგირბით თვალი უზარმაზარი დარბაზის კედლებისაკენ. იგი დაინტერესებას გამჩნევთ და ოდნავ მშვიდდება. ოღონდაც, თავის თავზე ნურაფერს ჰკითხავთ და...

ვინ იცის, რამდენი ღამე გაათია თეთრად ამ ჯადოქრული ნიმუშების ავტორმა, რაოდენ დიდი სულიერი ტკივილი და შინაგანი ღელვა გადაიტანა. იგი წლების განმავლობაში ხელის კანკალით ფურცლავდა ქართველი ერის ისტორიას, ქართულ ზღაპრებს და ლეგენდებს. გრძნეულის თვალით ჭვრეტდა საქართველოს ბუნებას, კითხულობდა კედლის მხატვრობას, დაჟინებით ჩააშტერდებოდა ქართულ ფრესკებს და აღვივებდა ეროვნული ფერწერის ნიადაგს.

ხატვა 13 წლისამ დაიწყო. გატაცებული იყო რუსთაველის, ტოლსტოის, ტურგენევის და სხვათა პორტრეტებით. თხუთმეტიოდე წლის ბავშვმა ოსტატურად გამოკვეთა ამ დიდი ადამიანების სახეთა ნაკვთები. მშობლებმა ბავშვის ნახელავი აჩვენეს ერთ გამოჩენილ გერმანელ მხატვარს, რომელმაც უყოყმანოდ თქვა, — ლადოსაგან ნამდვილი მხატვარი დადგებაო. დაამთავრა თუ არა სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის ფაკულტეტი, აიკრა გუდა-ნაბადი და საქართველოს შემოვლა განიზრახა. გორი, მცხეთა, დავით გარეჯი, ნეკრესი... — რომელი კულტურული ძეგლის მხატვრობას არ მიანათა მისმა ნათელმა თვალმა. საქართველოში ახლადფეხადგმულ ფერწერას ლადო გუდიაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მისცა ეროვნული გეზი, შთაბერა ქართული სული და ტილოზე აამეტყველა ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიის ფურცლები. მალე საფრანგეთმაც გაიცნო ლადო გუდიაშვილი. 1919 წლიდან 1926 წლამდე იგი პარიზში მოღვაწეობს. ჭაბუკი მხატვრის თვალწინ ახალი მხატვრული სამყარო გადაიშალა. დისკუსიები, საუბრები, გამოფენათა განხილვები, თუ ცალკეულ შედევრებზე მსჯელობა თანდათან ამდიდრებდა და ხვეწდა მის მხატვრულ ოსტატობას. მაშინდელ პარიზში მრავალნაირი სკოლა და მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს. ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ჭაბუკი მხატვარი შემცდარიყო, აჰყოლოდა რომელიმე მათგანს და დაევიწყებია ეროვნული მხატვრობის ტრადიცია, მაგრამ ქართული ფრესკის, ლეგენდის თუ ზღაპრის სული გამუდმებით ტრიალებდა მის შეგნებაში. ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ მორის რეინალმა ლადო გუდიაშვილზე მონოგრაფია დაწერა. მან დიდი შეფასება მისცა მის მხატვრულ მრწამსს, ოსტატობას და პრინციპულობას.

ლადო გუდიაშვილის სურათები ამშვენებს ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის და სხვა მრავალი დიდი ქალაქის გალერეებს.

ხანდაზმულობამ ვერ გაუნელა შემოქმედებითი ცეცხლი. მას დღესაც მარჯვედ უპყრია ფუნჯი და ქმნის ჩვენი ცხოვრების შთამაგონებელ მატიანეს.

ლადო გუდიაშვილი, ძირითადად, ყავისფერსა და ცისფერს იყენებს. იგი ოსტატურად ახამებს ფერსა და ხაზს. დახვეწილი და მოქნილი ხაზები ჰაეროვნებასა და სიმსუბუქეს ანიჭებს მის ყოველ სურათს. ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული თვისებაა მკვეთრი, ლოგიკური სიუჟეტი. მისი ფერწერული ნიმუშები ნოველასავით იკითხება. მხატვარმა პრინციპულად უარყო მხოლოდ გამზადებული სიუჟეტის გამოყენების თეორია. უმდიდრესი მხატვრული ფანტაზიის, გამოგონების დიდი ტალანტის წყალობით ლადო გუდიაშვილი ქმნის სრულიად ახალ, უცნობ სიუჟეტებს და ახლებურად ამეტყველებს თანამედროვე თუ წარსული ცხოვრების დეტალებს.



„ცეკვა აივანზე“

უყურებთ მის „დევთა მაყრიონს“, „სიყვარულსა და თავდასხმას“, „წინანდლის ტრაგედიას“, „ბერიკ ე ბ ი ს ოინებს“, „წყნეთის სერენადას“, „ამორძალების ბრძოლას“, „ბედს მინდობილს“ თუ „მუზების გაფრენას“ და ფიქრობთ, რომ თითოეული მათგანის შინაარსი თქვენთვის ნაცნობია, თითქოს სადღაც წაგიკითხავთ, სადღაც გაგიგონიათ; მაგრამ, აბა სცადეთ და კონკრეტულად დაასახელეთ რომელიმე მსგავსი ლიტერატურული ნაწარმოები თუ ფოლკლორული ნიმუში! ასეთი აზრი იმიტომ გებადებათ, რომ ლადო გუდიაშვილის შემოქმედება არის ჩვენი ეროვნული, ხალხური მარგალიტების, ლიტერატურული ნაწარმოებების თუ ისტორიის ცალკეული ფურცლების ახალი მხატვრული სახე, ახალი ამღერება და შინაარსი.

მაგალითად, „ბედს მინდობილს“ რომ აკვირდებით — შინაარსი თითქოს გეცნაურებათ, მაგრამ დაიწყებთ უშუალოდ სურათის კითხვას, ბოლომდე ჩაიკითხავთ და იტყვით, რომ შეცდით. მხატვარს ხელთ ჰქონდა მხოლოდ ერთი უბრალო ფაქტი, რომ მტკვარზე ტივებითა და ნავებით გადადიოდნენ. ეს არის და ეს. დანარჩენი ყოველი დეტალი მისმა ფანტაზიამ, ზუსტმა მხატვრულმა ალღომ შეთხზა.



თევზი „ცოცხალი“.

ლადო გუდიაშვილი მონუმენტური სტილის მხატვარია. მისი ყოველი მხატვრული შედევრის ფორმა და შინაარსი ჰარმონიულია, ერთმანეთს ავსებს და განუყოფელ შთაბეჭდილებას ახდენს. შინაარსი განვითარებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად, მაგრამ მხატვრის ფანტაზია, წარმოდგენები, ასოციაციები იმდენად რთული და თავისებურია, რომ სურათის შინაარსის ზუსტად ამოცნობა გონების დაძაბვასა და ღრმა დაკვირვებას მოითხოვს. ფორმის ყოველი ელემენტის ჰარმონიული წყობა, შეხმატკბილების პრინციპი მკითხველს უქმნის ყურადღების ცენტრს. ლადო გუდიაშვილის ყოველი ფერწერული ტილო ადამიანის სულიერ განწყობილებასთან პეიზაჟის შეხამების კლასიკური ნიმუშია. იგი მთლიანობაში აღიქვამს ადამიანს და ბუნების სურათს, რითაც სიმკვეთრეს ანიჭებს გმირის ხასიათსა და სურათის კომპოზიციურ წყობას.

...ხანდაზმული ოსტატი გალერეაში ჩქარი ნაბიჯით, თავჩაქინდრული გადიგამოდის, თითქოს აღარც ახსოვს ათეული წლების განმავლობაში ნაჩუქურთმევი შედევრები. დუმს ოცნებით სავსე ვებერთელა დარბაზი და ახალ ტილოებს ელის. ლადო გუდიაშვილი ახალგაზრდული სიმძაფრით განიცდის ამ დუმილს.

ფილიპე ბერიძე




9768.



**ვ. სიდამონიძე**

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი.

თედორე კველთელი XVII საუკუნის ქართველი ეროვნული გმირია. იგი ქვემო ქართლის სოფელ კველთის მკვიდრი იყო.

1609 წლის გაზაფხულზე საქართველოს სამხრეთ საზღვარი თათრებმა გადმოლახეს, გაანადგურეს სანაპირო დაცვის რაზმი და სოფლები; კველთა და ოძისი ცეცხლს მისცეს.

შეიარაღდა ხალხი, მაგრამ მტრის სამოციათასიან ლაშქართან აბა რას გახდებოდა!

ქართლის მეფემ, ლუარსაბ მეორემ, თავისი ამალით ცხირეთის ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი; მტერს მეფის ტყვედ ჩაგდება და ქართლში გაბატონება სურდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიაგნო მის ადგილ-სამყოფელს. ბოლოს მოძალადეებმა შეიტყვეს, რომ კველთელმა გლეხმა, თედორემ იცოდა მეფის ადგილ-სამყოფელი; იგი შეიპყრეს, ხელები ზურგზე შეუკრეს და სიკვდილის მუქარით წინ გაიგდეს,—გზა გვასწავლეო.

თედორემ მართლაც კარგად იცოდა ცხირეთის ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ სამშობლოს ხომ არ უღალატებდა!

აი, რას წერს ამის შესახებ აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი: „ოსმალ-თათრებმა სოფელ კველთას თედორე ხუცესი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. გლეხი,—გმირი აღმოჩნდა, ქვეყნისათვის თავისი თავი გასწირა, მტერი სულ სხვა გზით წაიყვანა და ცხირეთის ციხეს ააცდინა. როცა თედორეს ეს ხერხი გამომჟღავნდა, მეგზური ხმლით აკუწეს თათრებმა. სამაგიეროდ, განზრახვამ მტერს ფუჭად ჩაუარა. ლუარსაბ მეფემ ციხეში გამაგრება მოასწრო“.

თედორემ მტერი სასტიკად გააცურა,—სულ სხვა გზით ატარა, ცხირეთის ნაცვლად ერთაწმინდისაკენ წაიყვანა და ქვენადრისის გზაზე გაიყვანა. როცა გოსტიბის თავზე ავიდნენ, თათრები მიუხვდნენ განზრახვას, ძირს დასცეს, ლახტები წაუშინეს და მერე თავი გააგდებინეს.

განრისხებული თათრები მტკვრის მარჯვენა ნაპირის სოფლებს კალიასავით შეესივნენ, უმოწყალოდ ჟლეტდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ამასობაში მეფემ და გიორგი სააკაძემ შესძლეს ჯარის შეგროვება, გაძლიერდნენ, მტერი სასტიკად დაამარცხეს და გაანადგურეს.

თედორეს გმირობის ამბავი ქართველებმა მალე შეიტყვეს. გმირი გოსტიბის თავზე დაკრძალეს და სამახსოვრო ნიში აუგეს.

მეორე გადმოცემით, თედორეს ცხედარი მშობლიურ კველთაში წაასვენეს და იქ მიუჩინეს სამუდამო ბინა.

სახალხო გმირის, თედორეს სახელი იმავე საუკუნეში გადავიდა ისტორიასა და ლიტერატურაში. გმირის სახელი პირველად XVII საუკუნის პოეტმა იოსებ თბილელმა მოიხსენია თავის პოემა „დიდმოურავიანში“. თედორეს სახელი, ცნობილი ისტორიკოსების—ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა ნაშრომებში გვხვდება. მომდევნო თაობები ყოველთვის პატივისცემით იხსენიებენ გმირის სახელს; ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ და მწერალმა ია ეკალაძემ წერილები მიუძღვნეს მას. გმირის სახელი ერთხელ კიდევ უკვდავჰყო დავით სულიაშვილმა თავის მშვენიერ მოთხრობაში—„თევდორე“, ოთარ ჩხეიძემ კი დრამატული ნაწარმოები—„მამაო თედორე“ უძღვნა სახალხო გმირს.

# თედორე კველთელი

**ამ მოთხრობას ჩვენს კონკურსზე დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა.**

# ლურჯი ფლეის კირას

**გიორგი კეჭაღმაძე**

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ჭიშკარი შევაღე, ეზოში ცისფერი მანქანა დავინახე, მივხვდი ვისიც იყო მანქანა და უკან გამოვბრუნდი.

უცებ ველოსიპედის ზარის წკრიალი მომესმა, მივიხედე და ლეო დავინახე, მან ველოსიპედი გააჩერა და გადმოვიდა. მხარზე თავისი გაწყრელი ფოტოაპარატი ეკიდა.

— გამარჯობა, ზურა.

— გაგიმარჯოს, — მივუგე მე და ნაბიჯსავუჩქარე. მინდოდა მეგრძნობინებინა, რომ მეჩქარებოდა. ლეომაც მოუმატა ნაბიჯს. იგი ველოსიპედს ხელით მოაგორებდა და გვერდით მომყვებოდა. გული მიკანკალებდა, ვაითუ შემეკითხოს, „მიგიღეს თუ არაო". აკი იცოდა, რომ კრება დღეისათვის იყო დანიშნული.

— შენს ეზოში ავტომობილი იდგა, — თქვა ლეომ, — სტუმარი გყოლია.

— ჰო, — მივუგე მე, — სტუმარია.

— ის ბიჭია, არა? — მკითხა მან.

— რომელი ბიჭი?

— ის... რა ჰქვია... ჰო, მგონი უშანგის ეძახიან.

— შენ იცნობ?

— ჰო, შორიდან. შენი და ლილი ხშირად ახსენებს, — მანქანით გვასეირნებსო.

ლილი და ლეო ერთ კურსზე სწავლობენ, პედაგოგიურ ინსტიტუტში. ლეო ერთი წლის უკან გავიცანი ჩემი დის დღეობაზე. მას შემდეგ თითქმის ყოველ დღე ვხვდები. თუმცა ჩვენთან იშვიათად დადის, ძალიან ერიდება ჩვენების, — ამხელა ბიჭია და გოგოსავით მორცხვობს ხოლმე. უშანგი კი, სულაც არ არის მორცხვი; იგი ხშირადაა ჩვენთან და ლეოსავით არასოდეს არ ებმება ენა. ესაა მხოლოდ, სულ ხუმრობს და ვიღაცას ამასხარავებს, განსაკუთრებით კი მე მემტერება.

ცხადია, ჩემი ამბავი უკვე დაწვრილებით ეცოდინება უშანგის. სამკერდე ნიშანი მაინც არ მეყიდა წინასწარ. ახლა ხომ მთლად სასაცილოდ ამიღებს.

— გინდა, ველოსიპედით გაისეირნო? — თქვა ლეომ, — შეჯექი, მე ფეხით გავივლი.

— არა, — მივუგე მე, — გოჩასთან მეჩქარება. გმადლობ...

სხვა დროს, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყოდი ველოსიპედით სეირნობაზე, მაგრამ ახლა მეშინოდა, რომ ლეო შემეკითხებოდა, — მიმიღეს თუ არა დღეს კომკავშირში...

●

გოჩას ეზოში ჩოგბურთის მაგიდა უდგას. დაინახავს თუ არა ვინმეს, ეზოში ჩამოსულს, მაშინვე გაჭიმავს მაგიდაზე ბადეს და თამაშს შესთავაზებს. ისე უყვარს პინგ-პონგი, ხშირად მარტოც თამაშობს ხოლმე.

— ცხრით ერთი, — თქვა გოჩამ და ბურთი გადმომიგდო, — ახლა შენ გადმოაწოდე.

მე გადავაწოდე და ბურთი ბადეში გაიხლართა.

— ერთით ათი, — თქვა გოჩამ წყენით, — რა უხეიროდ თამაშობ.

— არ მინდა თამაში, — ვუთხარი მე, ჩოგანი მაგიდაზე დავდე და იქვე, გრძელ მერხზე ჩამოვჯექი.

— შენც ერთი, — დამამშვიდა გოჩამ, — რა მოხდა მერე, შემდეგ მიგიღებენ...

— ეგ სულ არ მაწუხებს, — განგებ გულგრილად ვთქვი მე, — ისე, გუნებაზე არა ვარ.

— არ აწუხებს! — გაიცინა გოჩამ, — შენ არ იყავი, ღვარად რომ ჩამოგდიოდა ოფლი?.. ისე, ანიკო მასწავლებლის ბრალი კი ყოფილა... მე ორიანს რომ მიტოვებს, იცი?

— დღეს ლეო შემხვდა. ველოსიპედს გათხოვებ, თუ გინდაო; არ გამოვართვი.

— სულელი ხარ.

— მეშინოდა, არაფერი მკითხოს-მეთქი. სახლშიც იმიტომ არ შევედი. ეზოში უშანგის მანქანა დავინახე. უშანგიმ სამასხარაო თუ იშოვა — კაცს დაინდობს?

— იმანაც იცის?

— ლილი დაუმალავდა? ნეტავი დედას არ მისწერდეს და...

გოჩა მაგიდასთან მივიდა, ბურთი ზედ დააგდო და ჩოგანი შეაგება.

— დღეს რეზო იყო, — თქვა შემდეგ და შემომხედა.

— რაო, გამეცადინებო? — გამეცინა მე.

— ჰო, მაგრამ... ვერ მივართვი... მერე გაბრაზდა და აღარც პინგ-პონგი მეთამაშა, ისე წავიდა შინ... ვნახავ ერთი, როგორ შეასრულებს თავის სიტყვას, დიდის ამბით რომ დაიტრაბახა, — მე გამოვასწორებ გოჩასო.

— ცოტას მეტიჩრობს ეგ რეზო, — ვთქვი მე, — შარშან მეც ხომ ვიყავი ფრიადოსანი, მაგრამ სულაც არ მომქონდა ასე თავი.

— მეტიჩარაა, — დამეთანხმა გოჩა.

●

მზე ჩადიოდა, ჩემი სახლის ჭიშკარს რომ მივადექი. ეზოში კვლავ იდგა ცისფერი „ვოლგა". უხალისოდ შევაღე ჭიშკარი და კიბეზე ავედი. კარებში უშანგი შემომეფეთა.

— ო, ზურას გაუმარჯოს! — დაიძახა მაშინვე, — როგორა ხარ, ზურა?

— კარგად, — მივუგე მე.

უშანგიმ ხელი ჩამომართვა. ლილი ფანჯარასთან იჯდა და წიგნს ფურცლავდა.

მე გვერდითა ოთახში გავედი და ლოგინზე წამოვწექი.

ეს ჩემი სამეცადინო ოთახია. ფანჯარასთან პატარა მაგიდა დგას, რომელზეც მუდამ უწესრიგოდაა მიყრილ-მოყრილი ჩემი სახელმძღვანელოები. თვალგაშტერებული შევყურებდი მაგიდას, შემდეგ იქვე, გაკვეთილების ცხრილის ქვემოთ მიბნეულ კომკავშირულ სამკერდე ნიშანს შევასწარი თვალი; მაშინვე მივვარდი, ჩამოვხსენი და მაგიდის უჯრაში ჩავდე. მერე კვლავ ლოგინზე წამოვწექი და ჭერს მივაშტერდი.

წამით მომეჩვენა, რომ ჭერი ადგილიდან დაიძრა, ამაღლდა, გაფართოვდა, ბოლოს კი სულ გაქრა. მერე ნათლად დავინახე ანიკო მასწავლებელი. მომესმა მისი ხმაც:

— მე წინააღმდეგი ვარ... სულაც არ არის საჭირო, რომ ასეთი ზარმაცი — კომკავშირელი გახდეს. კომკავშირელი ყველაფერში სანიმუშო უნდა იყოს...

ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ ჩემსკენ მოაბრუნა სახე. მე დავიბენი, ავილეწე.

— შარშან ფრიადოსანი იყო. წელს პირველ მეოთხედში კიდევ არა უშავდა რა. ახლა კი ორი ოთხიანი აქვს მხოლოდ, დანარჩენი — სამიანები. სკოლაში ხშირად აგვიანებს, ზოგჯერ იპარება კიდეც გაკვეთილებიდან. მართალი ვარ? მართალი ვარ, ზურა?..

მე თავდახრილი ვიდექი. ხელებით მერხის სახურავს ვაწვალებდი. სახეზე ოფლი ჩამომდიოდა.

არა, მაინც ყველა რომ ანიკო მასწავლებლის მხარეზე დადგა! კომკავშირის მდივანმა თავის მართლებაც კი დაიწყო, — მე მეგონა, ზურაბი სანიმუშო მოსწავლე იყოო. ეჰ, ასეთ სირცხვილს განა ადვილად ჩამოირეცხავ?! ახლა ყველას შეუძლია დამცინოს, მარტო უშანგი კი არა, ყველა დამცინებს. მამაჩემის საყვედურებს როგორ გადავურჩები. დედაშენს რომ პატივს არა სცემ, იმის ბრალიაო, — მეტყვის. რაც ავად გახდა და სამკურნალოდ გავაგზავნეთ, მას შემდეგაა, სწავლას რომ შეუშვი ხელიო... ნეტა არ მისწერდეს დედაჩემს. თუმცა ლილი მაინც მისწერს. ლილი როგორ მოისვენებს ისე...

* * *

გზა ზღვის ნაპირს მისდევს. ზღვა ლურჯია, ისე ლურჯი, რომ უეცრად სამივეს სიმღერა მოგვინდა. მე სარკმელში თავი გავყავი და სტვენა დავიწყე. უშანგი ღიღინებს, ლილი კი ხმამაღლა მღერის.

ბოლოს, უშანგი შემობრუნდა და მითხრა:

— არ შეიძლება სარკმელში თავის გაყოფა.

ლილიმ სიმღერა შესწყვიტა და ახლა მანაც მითხრა:

— წესიერად დაჯექი.

მე სარკმელს მოვშორდი, მაგრამ ზღვას მაინც არ ვაცილებდი თვალს.

— რა კარგია მანქანით სეირნობა, — თქვა ლილიმ. — რა ლურჯია ზღვა, ცაზე უფრო ლურჯია.

— შავ ზღვას კი ეძახიან, — ვთქვი მე, — მე ლურჯს დავარქმევდი.

— ყველა ზღვა ლურჯია, — თქვა უშანგიმ. — შიგ მუდამ ცა იხედება და იმიტომ.

— მეც ვიყიდი მანქანას, — ვთქვი მე, — უშანგი, რა ღირს ეს მანქანა?

— ო, ძალიან ძვირია, — თქვა უშანგიმ და გაიცინა.

— მაინც?.. შენ როგორ იყიდე?

— მე ლატარიის ბილეთით მოვიგე.

— ტყუილია, — თქვა ლილიმ, — ნუთუ ასე იღბლიანი ხარ?

— მე უბედნიერესი კაცი ვარ, — გაიცინა უშანგიმ.



— მეც ვიყიდი მანქანას, — ვთქვი მე, — ან, ლატარიის ბილეთით მოვიგებ და ყოველდღე ვისეირნებ ზღვის ნაპირას.

უკვე კარგა მანძილით გავცილდით ქალაქს.

— მოვბრუნდეთ ახლა, — თქვა ლილიმ, — გვეყოფა.

უშანგიმ მანქანა მოაბრუნა. ზღვა ახლა მეორე მხარეს მოექცა. ჩვენც შევბრუნდით ზღვისაკენ.

— კომკავშირში მიგიღეს? — მკითხა უცებ უშანგიმ.

— არ მიიღეს, — უთხრა ლილიმ.

— საწყალი, — თქვა უშანგიმ, — რაღა ეშველება ახლა...

მე ზღვას შევყურებდი და ხმას არ ვიღებდი.
— უშანგი, სკოლა როდის დაამთავრე? — იკითხა ლილიმ.
— უკვე ორი წელია, — მიუგო უშანგიმ.
— მერე? არ მოგწყინდა ასე ყოფნა? სწავლა არ გიხდა?
— არა, — თქვა უშანგიმ, —მომბეზრდა სწავლა. სანამ ახალგაზრდა ხარ კაცი, შენს ნებაზე უნდა ატარო დრო...
ლილიმ წარბი შეიკრა. ერთ ხანს სამივენი ვდუმდით. მერე უშანგიმ თქვა:
— როცა ასე ცხოვრებაც მომბეზრდება, მანქანას გავყიდი და ინსტიტუტში შევალ.
უკვე ქალაქს ვუახლოვდებოდით.
— რა ცუდია, უიღბლო რომ იქნება კაცი, — თქვა უშანგიმ, — შენ ლატარიის ბილეთით რა უნდა მოიგო. ბედი არ გაქვს, — კომკავშირშიც არ მიგიღეს...
გზაზე ველოსიპედიანი კაცი გამოჩნდა. მე ლეო ვიცანი. მხარზე განუყრელი ფოტოაპარატი ეკიდა. მან მოიხედა, თავი დამიქნია და გამიღიმა. მეც დავუქნიე თავი და გავუღიმე.
— არდადეგები დაგეწყოთ? — მკითხა უშანგიმ.
— ჰო, — მივუგე მე.
— ეჰ, ცუდია, კომკავშირში რომ არ მიგიღეს!...
— გააჩერე, — ვუთხარი უშანგის, — გააჩერე!
უშანგიმ შემომხედა და გაიღიმა. შემდეგ მანქანა გააჩერა. მე მაშინვე ჩამოვედი და გაჯავრებით მივხურე კარი.
— წადი ახლა!..
უშანგიმ გაოცებით შემომხედა. შემდეგ უსიტყვოდ დაძრა მანქანა. ლილი ხმამაღლა კისკისებდა.
ლეო მალე წამომეწია და ველოსიპედიდან გადმოვიდა.
— გინდა ისეირნო?
ველოსიპედი გამოვართვი.
— შეჯექი, გადაგიღებ. ნელა წადი... ასე...



უკნიდან აპარატის ჩხაკუნი მომესმა.
— ახლა აქეთ წამოდი.
ლეომ ობიექტივი დამიმიზნა და კვლავ გაისმა ჩხაკუნი.
— ახლა ზღვის ფონზე. ასე...

ზღვის ნაპირი სავსეა ხალხით. მე, გოჩა და რეზო სილაში ვწევართ, — მზისგულზე. გოჩა ჩვენს ატყავებულ ზურგებს შეჰყურებს და იღიმება:
— მზეზე თანდათან უნდა გაშავდეთ... ზომაზე მეტი ყველაფერი ვნებს კაცს.

გოჩა ისეა გარუჯული — შავკანიანი გეგონება. ჩვენი კბილაა, მაგრამ ჩვენზე გაცილებით ღონიერი და მაღალია. ჩვენს კლასში ტოლი არა ჰყავს ჭიდაობაში. უფროსკლასელებიც არ ეჭიდავებიან ხოლმე, ისე ეშინიათ მისი
— რა ცხელი მზეა, — თქვა რეზომ და ხალათი გადაიცვა.
— შენც ჩაიცვი, — მითხრა გოჩამ, — ისევ არ გადაგძვრეს კანი.
აქვე, ჩვენს პირდაპირ, გემამდე მისასვლელი ხიდია. მას ახლახან გასცდა დამსვენებლებით დატვირთული გემი. ხიდზე დარჩენილი ბიჭები თავდაყირა გადაეშვნენ წყალში.
— წავალ, მეც გადავხტები, — თქვა გოჩამ და წამოიწია.
— ოჰო, გამოიდო თავი, — თქვა რეზომ.
— მეტიჩარა ხარ, — ვუთხარი გოჩას.
— კარგი, აღარ წავალ, — თქვა გოჩამ ღიმილით, ვიცი, შურით გულზე გასკდებით. თქვენ ხომ იქ ასვლისაც გეშინიათ.
რეზო არ უსმენს გოჩას ლაპარაკს. იგი ზევით იხედება, სადაც გაზეთისა და წყლის გამყიდველის ფარდულები დგას.
— შეხედე, — ხელი მკრა მან, — შენი ძმაკაცი
მე ფარდულისაკენ გავიხედე და ლეო დავინახე. მან ველოსიპედი ფარდულთან მიაყენა. რაღაც უთხრა წყლის გამყიდველს, ალბათ, — თვალი ადევნეო, — და ზღვისაკენ დაეშვა.
— იცი რა ფოტოაპარატი აქვს! — ვთქვი მე, — „კიევი".
— ფოტოაპარატი გამოდგომაზეა, — თქვა რეზომ გულგრილად, — ზოგჯერ „ზორკიც" კი სჯობია „კიევს"
გოჩამ ხმამაღლა გაიცინა.
— ვითომ რაო, შენი „ზორკი" სჯობია, არა?!
— რატომაც არა, — წყენით თქვა რეზომ, — ცუდ სურათებს ვიღებ?
— სურათებს?.. სურათებს არა უშავს, — დაეთანხმა გოჩა, — მაგრამ „კიევი" მაინც სხვაა.
ლეომ მოშორებით გაიხადა ტანზე და წყალში გადაეშვა.



— არ სცოდნია კარგი ცურვა, — თქვა გოჩამ.
— ჰო, — ვუთხარი მე, — მაგრამ მაინც კარგი ბიჭია.
ლეო კარგა მანძილით მოსცილდა ნაპირს, შემდეგ კი გვერდზე გაუხვია და ზევით აჰყვა.
— ეშინია, — თქვა გოჩამ, — ხედავ, ნაპირ-ნაპირ მიცურავს.
— არ გინდა, ახლა ვინმე წყალში იხრჩობოდეს — ვიკითხე უცებ.
გოჩამ და რეზომ გაოცებით შემომხედეს.
— გაგიჟდი? რატომ უნდა იხრჩობოდეს?
— გადავარჩენდით.
— ჰოო, — თქვა ჩაფიქრებით, — შეიძლება...
— ან, ჯაშუში რომ დაგვეჭირა, კარგი იქნებოდა, არა?
— სად ნახავ ახლა ჯაშუშს.
— სადმე იქნება მაინც.. აკი იჭერენ ხოლმე ხანდახან.
— კინოში — ჰო, — თქვა გოჩამ.
— ჩვენ რას დავიჭერთ, — ნაღვლიანად თქვა რეზომ.
— რა დიდი ამბავი უნდა, — ვთქვი მე, — ოროჯერ ვინმეზე ეჭვი უნდა აიღო.
— ვისზე უნდა აიღო ეჭვი, — თქვა რეზომ.
— აი, თუნდაც იმ სქელ კაცზე, — ვთქვი მე, — ხედავ? გაზეთს კითხულობს და თან დრო და დრო გვერდზე იყურება. ასე არ იციან ჯაშუშებმა?
სამივენი ყურადღებით შევყურებდით „ჯაშუშს“.
— არა, — ჩაილაპარაკა ბოლოს რეზომ, — ეს არ ჰგავს ჯაშუშს, ვინმე სხვა მოვძებნოთ.
— შეხედე! შეხედე! — წამოიძახა უცებ გოჩამ. — ხედავ, როგორ ნერვიულად დადის? თითქოს ვიღაცას ეძებსო... დააკვირდი! აქ, ალბათ, მეორე ჯაშუშს უნდა შეხვდეს.
— მივუახლოვდეთ, — ვთქვი მე და წამოვდექი.
ეს ახალი „ჯაშუში“ წამოდგა, კიოსკთან მივიდა, გაზეთი იყიდა და ტაქსის გაჩერებასთან დადგა.
— აბა, ფრთხილად, არ გაგვექცეს, — ვთქვი მე და ფარდულთან მივედი.
— ეჰე, — ამოიოხრა გოჩამ, — ტანსაცმელი ხომ ნაპირზე დავტოვეთ, ასე სანამდე უნდა მივდიოთ.
მალე ტაქსიც მოვიდა და გაჩერდა. კაცი შიგ ჩაჯდა.
— დავკარგეთ, — თქვა რეზომ.
ერთ ხანს ხმაამოუღებლად ვიდექით და აქეთ-იქით ვიყურებოდით. მერე უკან გამობრუნება დავაპირეთ. ამ დროს გოჩამ ხელი მომკიდა და საიდუმლოდ მითხრა·
— დაინახე? ახლა ხომ ნამდვილად დავიჭირეთ...
მე და რეზომ ყურადღებით მოვათვალიერეთ იქაურობა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ.
— იმ მანქანას ხედავთ? — იკითხა გოჩამ, — მარცხნივ, პალმებს შორის.
— ვხედავ, — თქვა რეზომ, — მერე?
— ახლახან პლაჟიდან კაცი ამოვიდა და პალმის ძირში ჩამოჯდა. რაღაც საეჭვო სიფრთხილით იხედებოდა ირგვლივ. შემდეგ მანქანა გამოჩნდა გზაზე. კაცმა ხელები ასწია და გადააჯვარედინა. მძღოლმა სარკმლიდან თავი გამოჰყო და მანაც ანიშნა რაღაც. ბოლოს მანქანა გაჩერდა. და კაცი შიგ ჩაჯდა.
— ახლოს მივიდეთ, — თქვა რეზომ.
— ფრთხილად, — თქვა გოჩამ, — არ შეგვატყოს, რომ ვუთვალთვალებთ.
ქუჩაში გავედით.
— ეს ხომ უშანგია! — წამოვიძახე მე, — ეს უშანგის მანქანაა!
მანქანა ნელა დაიძრა და მალე მიიმალა.
დანაღვლიანებულები კარგა ხანს უსიტყვოდ შევყურებდით ერთმანეთს.
— იცნობ? — მკითხა.
— ვის, უშანგის? ვითომ არ იცი? ყოველდღე ჩვენთან არ დადის?
რეზოს გაეცინა.
გოჩა წამით დაიბნა. შემდეგ განგებ სერიოზული სახით თქვა:
— თვალყური ადევნე. ვინ იცის, იქნებ მართლა ჯაშუშია.
კინაღამ გამეცინა, მაგრამ ეს „დავალება“, ცოტა არ იყოს, ჭკუაში დამიჯდა და მეც სერიოზულად მივუგე:
— კარგი.

გულდაწყვეტილი ლეო საჩქაროდ იბნევდა ხალათის ღილებს და თან დაბნეული ლუღლუღებდა:
— არა უშავს... არა უშავს. ჩემი ბრალი იყო...
ღილები ხელიდან უსხლტებოდა. ერთი-ორჯერ არასწორადაც შეიბნია. გახსნა და კვლავ შეიბნია. ირგვლივ

მყოფნი თანაგრძნობით შეჰყურებდნენ და დანანებით აქნევდნენ თავს.

— ახალი იყო? — იკითხა ვილაცამ.

— ახალი იყო, — მიუგო ლეომ, — „კიევი“.

— ოჰო, — თქვა ერთმა ახალგაზრდამ, — უყურე შენ!

— ნეტა ვინ წაიღებდა, — თქვა შუახნის ქალმა. თქვენ არავინ შეგინიშნავთ, ბავშვებო?

ათიოდე წლის ბიჭი, რომელიც ლეოს ტანსაცმელთან იდგა, მხრებს იჩეჩავდა.

— აქ ერთი კაცი იჯდა, — თქვა მან, — ფოტოაპარატს ხელში აწვალებდა და რამდენჯერმე გადაიღო კიდეც... მე მისი მეგონა. ბოლოს წავიდა და თან წაიღო.

— რა ეცვა, არ გახსოვს?

— ჭრელი ხალათი ეცვა.

— მაღალი იყო? დაბალი? როგორი თმა ჰქონდა?

ბიჭმა ლეოს ახედა და თქვა:

— ამაზე ცოტა უფრო დაბალი... თავი გადახოტრილი ჰქონდა.

— ამას წინათ, მეც მომპარეს ფოტოაპარატი, — თქვა ახალგაზრდამ, — მაგრამ ძველი იყო და გული არ დამწყვეტია. ეს კი...

— ეს ერთი ხანია, აქ ხშირად ქურდობენ, — თქვა შუახნის ქალმა, — გუშინ ფეხსაცმელებიც კი მოჰპარეს ერთ ბიჭს... ნუთუ ასე ძნელია მათი დაჭერა?

ლეო დამნაშავესავით იდგა და ხმას არ იღებდა. იფიქრებდით — ეს-ესაა ამდენი ხალხის შეწუხებისათვის ბოდიშს მოიხდისო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაცმას მორჩა, ხალხის წრე გაარღვია და ფარდულისაკენ გაემართა, სადაც წეღან ველოსიპედი დატოვა.

— საწყალი ბიჭი, — თქვა შუახნის ქალმა. — ხეტა მართლა ახალი იყო?

— ახალი იყო, — მივუგე მე, — ფოტოკონკურსში გაიმარჯვა და ჯილდოდ მისცეს.

— ფოტოგრაფია?

— არა, სტუდენტია. მე კარგად ვიცნობ. ჩემს დასთან სწავლობს.

ხალხი ნელა გაიფანტა. ჩვენ ტანსაცმელს მივაშურეთ და ჩაცმას შევუდექით.

ნაშუადღევს კვლავ გამოგვიარა უშანგიმ თავისი მანქანით და მე და ლილი სასეირნოდ წაგვიყვანა. შინ საღამოს დავბრუნდით. ლილი ძალიან კმაყოფილი იყო.

სწორედ იმ დროს, კიბეზე რომ ავდიოდით, კარებში მამა გამოჩნდა, მკაცრად შეგვათვალიერა და მზერა ლილიზე შეაჩერა.

— კიდევ იმ ყმაწვილის მანქანით სეირნობდით?

— ჰო, — მიუგო ლილიმ, — გამოგვიარა და უარი ვეღარ ვუთხარით.

— იცით მაინც, ვინ არის ეს თქვენი უშანგი?!

მე ყურები ვცქვიტე და მაშინვე მომაგონდა გოჩას „დავალება“.

— ვინ უნდა იყოს! — წყენით თქვა ლილიმ.

— მთელი დღე მანქანით რომ დასეირნობს — მეტი საქმე არა აქვს? მუშაობს სადმე, სწავლობს, თუ რას აკეთებს, არ გაინტერესებს მაინც?

— ჰო, მართლა, — თქვა ლილიმ გულგრილად. ვკითხავ.

— თავს ნუ შეიწუხებ, — თქვა მამამ, — მე თვითონ გავიგებ.

ლილის არ ესიამოვნა მამაჩემის საუბრის კილო. იგი ფანჯარასთან მივიდა, დაჯდა და წიგნის კითხვას შეუდგა. მე მისი ჟურნალები ჩამოვიღე თაროდან... მამა ოთახში ბოლთას სცემდა და დრო და დრო ბრაზიანად გადმოგვხედავდა.

მე ნელა ვფურცლავდი საზღვარგარეთულ ილუსტრირებულ ჟურნალს. იგი სავსე იყო სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, უთოების, ველოსიპედების, მოტოციკლებისა და ფოტოაპარატების ფერადი რეკლამებით

ერთ-ერთ ფოტოაპარატზე შევაჩერე მზერა: მერე მომეჩვენა, რომ აპარატის უკან ლეო იდგა და ცალ თვალს ჭუტავდა.

მერე რატომღაც ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ: ჭრელხალათიანი, თავგადახოტრილი, ვიწროშარვლიანი ბიჭები ზღვის ნაპირას ჩაცუცქულან და გაფაციცებით ათვალიერებენ იქაურობას. მათ შორის ყველაზე მაღალი, ცხადია, მეთაურია... განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი იმ ხალხს აქცევენ, რომლებიც პლაჟისაკენ მიემართებიან და ხელში რაიმე ნივთი უჭირავთ... ყველაზე უფრო კი ფოტოაპარატები აინტერესებთ. მეთაური ხელის მკვეთრი მოძრაობით უსიტყვოდ ანაწილებს ქურდებს. ისინი ფრთხილად მისდევენ „საკბილოს“ და აქეთ-იქით იხედებიან. რამდენიმე წუთის შემდეგ კი უკან ბრუნდებიან და ნადავლი მოაქვთ. მეთაური კმაყოფილი იღიმება და მხარზე უთათუნებს მათ გამხდარ, გრძელ ხელს. შემდეგ შუახნის ქალი დავინახე, სწორედ ის — ძალიან რომ სწუხდა ფოტოაპარატის დაკარგვას. მისი ხმაც გავიგონე: „ნუთუ ასე ძნელია მათი დაჭერა?“

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და ადგილიდან წამოვვარდი, თან, ალბათ, რაღაც ხმამაღლა წამოვიძახე, რადგან მამაჩემმა და ლილიმ გაოცებით გამოიხედეს ჩემსკენ.

— ვის დაიჭერ, ბიჭო, — მომესმა მამაჩემის ხმა, — ვინ უნდა დაიჭირო?

მე უკვე კისრისტეხით ჩავრბოდი კიბეზე. მერე ქუჩაში გავედი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)





მხატვარი
სერგი ქენჭაძე

შ ე ნ რ ა ს ი ტ ყ ვ ი ?

# მძღოლის ნაამბობი

აი, უკვე ოცდაათი წელია საჭეს ვუზივარ, ხუთი წელი ფრონტზე ვიყავი მძღოლად.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდენია თავს, შიშიც არ არის უცხო ჩემთვის, მაგრამ ის, რაც ამასწინათ შემემთხვა, არასოდეს დამავიწყდება. ეს იყო ჭრილობაზე მეტად მტკივნეული და ჩვეულებრივ შიშზე მეტად საშიში რაღაც, რომელმაც მოსვენება დამიკარგა.

მთელი დღის მუშაობის შემდეგ ვაკე-საბურთალოს ახალი გზით გარაჟში ვბრუნდებოდი. საბარგო მანქანას დავეწიე. უცებ, — ეს ძალზე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა — ძარაზე ბრეზენტი აიწია და მანქანიდან, ერთმანეთის მიყოლებით, ზედიზედ გადმოხტა რამდენიმე ბავშვი: სწრაფად დავამუხრუჭე მანქანა. გზა მოსველებული იყო... ზედ რადიატორის წინ ბავშვის ქუდს მოვკარი თვალი; ელდა მეცა, თვალთ დამიბნელდა, საჭე სწრაფად მოვაბრუნე მარჯვნივ და მთელი სიჩქარით ლამპიონის სვეტს დავეჯახე. მომესმა საშინელი ჭახანისა და მსხვრევის ხმა. თვალებში ბრჭყვიალა რგოლები დამიტრიალდა და გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, გარშემო ხალხი მეხვია, იქვე ბავშვი იწვა, მისთვის მანქანას მაინც გაეკრა გვერდი, სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. როგორც იქნა, ისიც მოასულიერეს, ორივე სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩაგვაწვინეს და საავადმყოფოში წაგვიყვანეს.

ეს იყო და ეს. თითქოს არაფერი, განსაკუთრებული არ მომხდარა.

ასეთი წინდაუხედავი და გაუფრთხილებელი საქციელი, თავისთავად, სამწუხარო და დასაგმობია, მაგრამ წინდაუხედაობა და სიანცე თითქმის ყველა ბავშვს თან სდევს და დროთა განმავლობაში გაივლის. მე ის მაწუხებს, რომ იმ ექვსი ბავშვიდან არც ერთს არ ეყო გამბედაობა — ხიფათში ჩავარდნილი ამხანაგისა და მძღოლისათვის მიეხედა, პირველი დახმარება აღმოეჩინა. ერთი სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ დანაშაულისათვის პირდაპირ შეეხედათ თვალებში, თავისი „ტყავის“ გადარჩენა არჩიეს, — კურდღლებივით დაფრთხნენ და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. პირდაპირ უნდა ვთქვა: ყოველი მათგანი ნამდვილი ლაჩარივით მოიქცა. კიდევ კარგი, რომ შემთხვევით სასწრაფო დახმარების მანქანამ ჩამოიარა და მშველელებმა დროზე მოგვისწრეს, თორემ ამ უბედურების ბოლო, დარწმუნებული ვარ, უფრო ტრაგიკული იქნებოდა.

თუ ბავშვობაში ასე მოიქცევა ადამიანი, რას იზამს იგი, როცა გაიზრდება? რას იზამს იგი, როცა ცხოვრება მართლაც დიდ გზაჯვარედინზე სერიოზული განსაცდელისა თუ არჩევანის წინაშე დააყენებს?

მე არ ვიცი, რომელ სკოლაში სწავლობენ ეს ბავშვები, ვინ ზრდით მათ, როგორ მუშაობენ მათ პიონერულ ორგანიზაციაში, მაგრამ იქ რომ ბევრი რამ რიგზე არ არის, — ეს ცხადია!..

ამ უცნობი „გმირების“ საქციელის განსჯა თქვენთვის მომინდვია!

ზურაბ ორბელი

# საინტერესო

## ცუნამი

ცუნამი! წყნარი ოკეანის სანაპიროთა მკვიდრთ ეს სიტყვა შიშის ზარს სცემს. უზარმაზარი, 10 მეტრზე მეტი სიმაღლის ტალღა სრულიად მოულოდნელად დაატყდება სანაპიროს, ანგრევს და მიწის პირისაგან ჰგვის ყველაფერს...

1896 წლის 15 ივლისს, იაპონიის კუნძულ ხონსიუს წყნარი ოკეანის მხრიდან დაეძგერა 25 მეტრი სიმაღლის ტალღა, მიწასთან გაასწორა რამდენიმე ქალაქი და სოფელი. 1952 წელს, ნოემბრის თვეში, ცუნამის ორმა უზარმაზარმა ტალღამ მიწასთან გაასწორა ჩრდილო კურილის სანაპიროები.

ბოლო, ათასი წლის მანძილზე აღრიცხულია 860 ცუნამი, აქედან 800 — წყნარ ოკეანეზე მოდის.

როგორ წარმოიქმნება ცუნამი?

მიწის წიაღში გამუდმებით მიმდინარეობს რთული გეოლოგიური პროცესები. დრო და დრო ოკეანის ფსკერი მოძრაობას იწყებს—ასობით კილომეტრ ფართობზე ან ამოიბურცება ან ჩაიბურცება. მძლავრი ბიძგები წყალს გადაეცემა და წამში აღწევს ზღვის ზედაპირს. ვაი იმ გემს, რომელიც ამ დროს ცუნამის არეში მოხვდება — თითქოს წყალქვეშა კლდეს დაეჯახაო, ნაფოტივით ატივტივებული გემი ტალღების მსხვერპლი ხდება.

მიწისძვრების დროს ზღვის ზედაპირზე აგორებული ტალღა დიდი, საათში 400-800 კილომეტრის სისწრაფით მიექანება სანაპიროებისაკენ.

ნაპირიდან დაშორებით, ღია ზღვაში, ცუნამი არც ისე მძლავრია, მაგრამ სანაპიროსთან, განსაკუთრებით კი დამრეც ნაპირებთან და ღრმა ბოლაზებში, ტალღები ზღაპრულ სიმაღლეს — 80-40 მეტრს აღწევენ.

ცუნამს დიდი უბედურება მოაქვს. ამიტომ მისი მოახლოვება წინასწარ უნდა იქნას ცნობილი, რათა გემებმა შუა ზღვას მიაშურონ, ხოლო მოსახლეობამ დროულად დატოვოს სანაპირო.

ს. სულავა




## სანდალოზები

რა არის სანდალოზი? სანდალოზები წარმოადგენენ სითხეებს, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებული სითხე შეიცავს ზეთს ან ფისს, ანდა ნიტროცელულოზს — გახსნილს ორგანულ გამხსნელებში. სანდალოზი საგნის ზედაპირზე წასმისას მალე შრება და წარმოქმნის მაგარ აფსკს; თუ სანდალოზი ფერადია, მაშინ მისგან წარმოიქმნება ფერადი აფსკი.

ყველაზე მეტად სანდალოზებს იყენებენ ლითონის, ტყავისა და ხის ნაკეთობათა ზედაპირის დასაფარავად. მათი დანიშნულებაა საგანს მიანიჭონ ლამაზი შესახედაობა, საიზოლაციო თვისებები, დაიცვან საგნის ზედაპირი კოროზიისაგან (ჟანგვისაგან).

ფართო მოხმარებისთვის უშვებენ რამდენიმე სახის სანდალოზს და სპირტის გამაპრიალებლებს, რომელთაგან დავასახელებთ ზოგიერთს:

**სპირტის სანდალოზი** წარმოადგენს ბუნებრივი ან ხელოვნური ფისისა და სპირტის ხსნარს. მინისა და ლითონის ზედაპირზე წასასმელად ხმარობენ სპირტის ფერად სანდალოზს, რომლის მისაღებად ღვინის სპირტში განზავებული ხელოვნური ფისების ხსნარს აფერადებენ ანილინის საღებავებით. მინისა და ლითონის ზედაპირზე სანდალოზს უსვამენ ტამპონით ან ფუნჯით.

**სპირტის შელაქის სანდალოზი** წარმოადგენს ღვინის სპირტში გახსნილი შელაქისა და კოლოფინის ხსნარს, რომელსაც იყენებენ ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობათა ზედაპირის დასაფარავად.

**ზეთის სანდალოზი** წარმოადგენს ხელოვნური და ბუნებრივი ფისების სხვადასხვა გამხსნელებში გახსნილი მცენარეული ზეთებისა და სიკატიკების ხსნარს. ხის ან ლითონის ზედაპირზე ამ სანდალოზის წასმისას წარმოიქმნება თხელი აფსკი, რომელიც გაშრობის შემდეგ ბზინავს და გამძლეა.

**ნიტროსანდალოზი** წარმოადგენს ქროლად გამხსნელებთან შეერთებული ხელოვნური ფისებისა და ნიტროცელულოზის ხსნარს, როგორიცაა აცეტონი, ბენზოლი, სპირტი და სხვ. ნიტროსანდალოზს ფართო გამოყენება აქვს ხის, ლითონის, პლასტმასის, მინის, ქაღალდის და ტყავის ზედაპირზე წასასმელად. ნიტროსანდალოზი ჩვენს მიერ ზემოდასახელებული სანდალოზებისაგან იმით განსხვავდება, რომ უფრო მალე შრება და კარგად აპრიალებს ზედაპირს.

ნიტროსანდალოზითაა დაფარული ავტომანქანის ზედაპირი, რომელსაც გამაკრიალებელი წყლით 10 დღეში ერთხელ აპრიალებენ (იყიდება მაღაზიაში). ავტომანქანის ზედაპირის პეწის დაკარგვის შემთხვევაში, იყენებენ სპეციალურ გამაპრიალებელ პასტას (იყიდება მაღაზიაში).

ზეთით გაჭუჭყიანებული მანქანის ზედაპირს წმენდენ და ცალკეული ლაქები ამოყავთ რბილი დოლბანდით ან ფლანელის ნაჭრით. თუ ლაქა დი-

დი ხნისაა და მშრალად გაწმენდა არ შველის, მაშინ ამ ლაქის მოსაცილებლად ხმარობენ ბენზინში ოდნავ დასველებულ დოლბანდს, რის შემდეგაც ზედაპირს კარგად ამშრალებენ. მანქანის სუფთა ზედაპირის ბენზინით დასველება არ შეიძლება.

### მცენარეთა ზრდის სტიმულატორები

ცნობილია, რომ ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება ხელს უწყობს მცენარის ზრდასა და განვითარებას. მაგალითად, ციტრუსების, ჩაის ბუჩქის, ქლიავის, ვარდისა და სხვა მცენარეთა ზრდა-განვითარებას ხელს უწყობს სინთეზური ორგანული ნივთიერება — ჰეტეროაუქსინი. ბევრი მცენარე ვერ იტანს გადარგვას და მალე ხმება. მაგრამ თუ ამ მცენარეთა ფესვებს ჰეტეროაუქსინის ხსნარში ამოვავლებთ, ისინი კარგად ხარობენ. (ფესვი უნდა ამოვავლოთ ასეთ ხსნარში: 1 გრ ჰეტეროაუქსინი, 5 ლიტრი წყალი, გადამწვარი ნაკელი და ცოტაოდენი თიხა). მცენარეთა ზრდის სტიმულატორები აჩქარებენ ნაყოფის მომწიფებას. ასეთ შემთხვევაში ზოგი ნაყოფი უთესლოდაც მწიფდება. უკვე მიღებულია კიტრის, წიწაკის, საზამთროს და სხვათა უთესლო ნაყოფი. ზრდის სტიმულატორებით დამუშავებული შაქრის ჭარხლის თესლისაგან ვღებულობთ უფრო მეტი რაოდენობის ჭარხალს. სტიმულატორები აჩქარებენ მცენარეთა ზრდას, აუმჯობესებენ ნაყოფის ხარისხს, ხელს უწყობენ მცენარეთა ჭრილობების შეხორცებას (შეჯვარების დროს). სტიმულატორებს ამ ბოლო დროს იყენებენ მევენახეობაში— ნამყენის გამოსაყვანად.

### ქიმიური ცდები

#### „მწვანე სოსანი“

სოსანი, ჩვეულებრივ, ლამაზი, მუქი-იისფერი ყვავილია, მაგრამ ჩვენ ეს ყვავილი შეგვიძლია „მწვანე ფერის სოსანად“ ვაქციოთ. ამ ცდის ჩასატარებლად თანაბარი რაოდენობით ერთმანეთში ავურიოთ ნიშადურის სპირტი და ეთერი (უმჯობესია ეს ცდა გარეთ— ჰაერზე ჩატარდეს; ეთერს ცეცხლი ადვილად ეკიდება და ერიდეთ). მოწყვეტილი სოსანი ჩადეთ ამ ნარევში და ის მწვანე ფერს მიიღებს.

ამ ხსნარის მოქმედება შეგიძლიათ გამოსცადოთ ბაღის და მინდვრის სხვა ფერად ყვავილებზეც. თუ ხსნარში ფერადი ყვავილების თაიგულს ჩადებთ — იგი უცნაური ფერებით აჭრელდება.

#### თეთრი ვარდის გაწითლება

თეთრი ვარდის ბუჩქზე მცირე რაოდენობით მივაფრქვიოთ ანილინის საღებავი ან ეოზინის წმინდა ფხვნილი, შემდეგ მივასხუროთ სპირტი ან ოდეკალონი, — თეთრი ვარდი გაწითლდება.

#### ხელის თითების ფერიცვალება

მარცხენა ხელის ორი თითიდან ერთს წაუსვით უფერო ფენოლოფტალეინის შემჟავებული ხსნარი, მეორე თითს კი—წითელი ლაკმუსის შემჟავებული ხსნარი. ორივე თითი მიიტანეთ ნიშადურის სპირტიან, თავლია ბოთლთან: ერთი თითი გაწითლდება, ხოლო მეორე—გალურჯდება.

#### ამ ცდების ჩასატარებლად შეიძინეთ:

1. ჰეტეროაუქსინი
2. ეთერი
3. ნიშადურის სპირტი
4. ანილინის ფერადი საღებავები
5. სპირტი ან ოდეკოლონი
6. ფენოლოფტალეინი
7. წითელი ლაკმუსის საღებავი
8. სპირტიანი და ზეთიანი სანდალოზები.

განყოფილება მიჰყავს
დოცენტ
**აკაკი გუნცაძეს.**



მეხუთე გაკვეთილად ფიზკულტურა ჰქონდათ...

გოგა მასწავლებელმა კლასი სამ ჯგუფად დაჰყო; ერთ ჯგუფს სანდრო მიუჩინა მოთვალთვალედ, მეორეს— ნათელა, მესამესთან თვითონ დარჩა.

სანდროს ჯგუფი დვირთან დატოვა და უთხრა; ჯერჯერობით აქ ივარჯიშეთო.

მამია დვირზე მარჯვედ გავიდა, რევაზი კი, შუამდე რომ მივიდა, ჩამოვარდა, მერე ხელახლა სცადა, კარგადაც გამოუვიდა. გოგონებიდან მარიკამ აჯობა ყველას.

რაფო მოშორებით იდგა და არც ფიქრობდა დვირზე გასვლას. სანდრომ ხელით ანიშნა მოდი, შენი ჯერიაო, მაგრამ რაფო არც განძრეულა.

— მოდი, რა!—ახლა ხმამაღლა უთხრა სანდრომ.

— არ მინდა, უპასუხა რაფომ,— მოსატეხი კისერი სადა მაქვს!

— რა მოგტეხს კისერს, ბიჭო! ხომ ხედავ, ყველა გადის, გოგონებიც კი გავიდნენ, არა გრცხვენია?

— ეგ შენი ჭკუის საკითხავი არაა!

— სწორედ რომ ჩემი ჭკუის საკითხავია, მასწავლებელმა მე დამავალა...

— დაგავალა თორემ, დიდი რამეც დაუვალებია! ისა სჯობია, ზოგიერთებმა, აქ პროწიალის მაგივრად, ალგებრაში იმეცადინონ და სხვები არ შეაწუხონ!..

სანდროს სახეზე ალი მოედო,— მიხვდა, რომ „ზოგიერთებში“ სწორედ მას გულისხმობდა რაფო...

ყველაფერს იფიქრებდა, ამას კი ნამდვილად არ მოელოდა...

— სირცხვილი შენი!..—ესღა უთხრა, მეტი ვერაფერი ვერ მოახერხა.

— მართლაც, სირცხვილი შენი!..— გაბრაზდა მარიკაც, - დიდი საქმეა, ამხანაგს თუ დაეხმარე! მოდი, ჩემსას ვიმეცადინოთ, სანდრო; მე მგონი, ალგებრა რაფოზე ნაკლებად არ უნდა ვიცოდე!

— რომ არ ვარჯიშობ, ე, იმიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭენვის ხიდი

ვახტანგ კახაძე

მხატვარი სერგი კენჭაძე



მაც ხარ ბაიასავით გაყვითლებული!— მიახალა მამიამ.

— ეგ თქვენი საქმე არაა და მომეშვით, არავინ გეკითხებათ. თქვენც ხომ არ დაუნიშნიხართ მასწავლებელს უფროსებად?!—დამცინავად იკითხა რაფომ.

— ვინც დანიშნა, იმას რატომ არ უჯერებ?—სიტყვა მოუჭრა მამიამ.

— ეგ მე ვიცი და მაგან, ყველამ თავის საქმეს მიხედოს!—თქვა რაფომ ბრაზიანად და იქვე მიგდებულ მორზე ჩამოჯდა.

სანდრომ, თითქოს არაფერი მომხდარაო, რიგით მომდევნოს დაავალა დვირზე გასვლა; რაფოსთვის არც კი შეუხედავს, ისე უთხრა:

— არ მინდა შენი დახმარება, დვირზე კი უნდა გახვიდე...

— ვისაც ხმას არ ვცემ—ჩამომეხსნას! მოვრჩით?!—„ბრძანა“ რაფომ.

— რა ამბავია, რა მოხდა?—მოდავეებს გოგა მასწავლებელი წამოადგა თავს,—შენ რა, დვირზე გასვლა არ შეგიძლია?—მიმართა არხეინად წამომჯდარ რაფოს.

რაფომ თავი მოისაწყლა. დიდი ვაი-ვაგლახით წამოდგა, ფეხი აიკანჭურა, სახე მოღმიჭა, ფეხის ტკივილი მოიმიზეზა, მასწავლებელს თავი შეაბრალა.

იმ დღეს არც ღერძს გაჰკარებია რაფო, არც—ორძელს, არც—ტაიჯს. მას შემდეგაც ყოველთვის ასე იძვრენდა თავს. სანდროს კი ხმას არ სცემდა. სანდრომ რამდენჯერმე მიუგზავნა ამხანაგები:—არ მინდა შენი დახმარება, ისე შევრიგდეთო,—მაგრამ რაფო მეტისმეტად თავისნათქვამა გამოდგა.

* * *

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. ცაზე ღრუბლის ერთი ფთილაც კი არ ჩანდა. ისმოდა ჩიტების მხიარული ჭივილ-ხივილი.

ალბათ მთაში იწვიმა,—ბანურა გადარეულიყო, სულ აყალოსფრად მოედინებოდა. სოფლის ნახირი ფერდობებს შეჰფენოდა. ჯოხს დაყრდნობილი შიუკა ჩიტების ჭიკჭიკს უგდებდა ყურს, თან ნახირზე ეჭირა თვალი.

— პიიი!.. პიი...—მოისმოდა დაბურული ჭალიდან; ვიღაცას მურყნის კანისაგან სასტვენი გაეკეთებინა და იმით ირთობდა თავს.

— აქეთ,—აყვირდა უეცრად შიუკა და ჯეჯილისაკენ თავაღებით მიმავალ ძროხას გამოეკიდა,—ბიჭიკო, შენს გაზრდას, ერთი მაგ ვერანას შემოუწყერი... ო, აგრე, დაგელოცა მარჯვენა... გმადლობ, გენაცვალე, გმადლობ!

ბიჭი მდინარეს მიადგა. ელდა ეცა. მოდიდებულ ბანურას ხიდი აეყარა, ერთადერთი მორიღა დარჩენილიყო ზედ, იმასაც წყალი ელამუნებოდა.

ბიჭმა კარგა ხანს იტრიალა მდინარის პირას. ეტყობოდა, რაღაც გადაუდებელი საქმე ჰქონდა გაღმა.

შიუკას შეებრალა ბიჭი. „კარგი საქმე მიყო წეღან, ეგ რომ არა, ის სამგლე უეჭველად შემასწრებდა ყანაში“,—გაიფიქრა და მანაც მდინარისაკენ გასწია, შორიახლოდან შეეხმიანა ბიჭს:

— რა ფონს ეძებ, ბიჭიკო, რა გაგჭირვებია?

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა:

— გაღმა გასვლა მინდოდა და...

— მაგაზე შენ კი არა, ამას წინათ ქალაქიდან ჯამბაზები რომ იყვნენ ჩამოსული, მათაც გაუჭირდებათ გავლა. რა გაჭირვება გადგას ისეთი, რომ მაინცა და მაინც დღეს უნდა გახვიდე?

— წერილი მიმაქვს ბიძაჩემთან.

— ხვალ რომ წაუღო?

— გვიან იქნება.

— რატომ?

— ამ საღამოს ბიძაჩემი თბილისში მიდის ბებიაჩემის ჩამოსაყვანად, ბებიაჩემი კი მამიდამ ჩამოიყვანა წუხელის. ბიძაჩემმა არ იცის ეს და, თუ არ შევატყობინე, ტყუილა ჩავა თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, ბიჭო და, ვისი ხარ შენ?

— ონისიმესი.

— ო, ჩემი ძმაკაცის შვილი ყოფილხარ! როგორაა ბებიაშენი, კიდევ ავადმყოფობს?

— არა, ახლა კარგადაა.

— ყოჩაღ, ექიმები ვართო, იმათ უნდა დაიკვეხონ!.. არ გამოაბრუნეს საიქიოდან ქალი?

ბიჭი ხან მდინარეს გაჰხედავდა, ხანაც—ზედ გადებულ მორს.

— რა ვქნათ ახლა, ა?—საგონებელში ჩავარდა შიუკაც,—წავა ის კაცი თბილისში, იქ არავინ დახვდება... გზა—გზად, წვალება—წვალებად, ხარჯი—ხარჯად. არა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— პიიიი-პიიი!..—სულ ახლოდან მოისმა სასტვენის ხმა.

— ჰო, უპიპინე, უპიპინე! ვარლამას ძროხა არ შეგეპაროს ყანაში თორემ, „პი-პიის“ გაძახებინებ მე შენ!—გაუჯავრდა ვიღაცას შიუკა. სულ მალე, ბუჩქნარიდან ყმაწვილი გამოვიდა, მერე ოოფნაკრავივით შეტრიალდა და ისევ მიიმალა.

ფოსტის მაძიებელმა სამკუთხა კონვერტს უხერხულად დაუწყო ხელში ჭმუჭვნა-ტრიალი.

— მოიცა, შვილო, ნუ დახიე ეგ წერილი! ნუ გეშინია, რაღაცას ვიღონებთ! სად გაძვერი, ბიჭო, მოდი აქ!—შეეხმიანა შიუკა ბიჭს.

ყმაწვილი გამოვიდა ბუჩქნარიდან. ისე უხერხულად მოაბიჯებდა, გეგონებოდა, სხვისი ფეხები აბიაო. ხელებისთვისაც ვერ ეპოვა ადგილი. ჯერ მარჯვენიდან მარცხენაში გადაიტანა სასტვენი, მერე ისევ—მარჯვენაში, შემდეგ გულჯიბეში უკრა თავი და ახლა ხალათის ღილს წაეპოტინა.

— რა უნაიროდ მოლასლასებ, თვალი ხომ არავინ გკრა ამ დილით!—გაუჯავრდა შიუკა.—ამ ბიჭს ხომ იცნობ? უჭირს ახლა ამას და უნდა ვუშველოთ.

ბიჭი მოეშვა ღილს.

— ხედავ?—კაცს გასაჭირი ადგას. ხიდი წყალს წაუღია, მარტო ეს მორია დარჩენილი. ამ ბიჭმა კი წერილი რომ არ წაუღოს ბიძამისს, არ იქნება!



— გერვასი ბიძიას?

— ჰო,—ძლივს ამოღერღა წერილის პატრონმა.

— მე წავუღებ.

— მერედა, გახვალ შენ ამ ბეწვის ხიდზე?—დაეჭვდა შიუკა.

— ამაზე გასვლას რა უნდა, ამაზე ასკინკილით გავალ,—მიუგო ყმაწვილმა,—უთხარი, მომცეს წერილი და, მე გავუტან გერვასი ბიძიას.

— შენ რა, შენ ვერ ეტყვი? ენა ხომ არ გადაგიყლაპავს, კარგად კი ლაპარაკობ!..

ყმაწვილმა სახეაწითლებული ბიჭის გამოწვდილ ხელს თავისი ხელი შეაგება, წერილი ჩამოართვა და, „ბეწვის ხიდზე“ რომ გავიდა, გაღმიდან გამოსძახა:

— შენ შინ წახვალ?

— არა, აქ დაგელოდები. შენს მაგივრად დავუდგები ნახირს!

— ჰო, ნუ წახვალ. რომ დავბრუნდები, რიკტაფელა ვითამაშოთ. ხომ, რაფო?

— ხო, სანდრო, ვითამაშოთ,—უპასუხა ბიჭმა დარცხვენით.

## ხელოვნური კატა

იაპონიაში კატა ბევრი არა ჰყავთ, ამიტომ თაგვი მეტისმეტადაა მომრავლებული. ამ რამდენიმე ხნის წინ, მათი გამოისობით, კინალამ მატარებლის ავარია მოხდა: შიმშილისაგან გამწარებულ თაგვების ლამჭარს სიგნალიზაციის კაბელი გადაეღრღნა. და აი, იაპონელმა მეწარმეებმა ბაზარზე გასაყიდად გამოიტანეს ელექტროკატა. მართალია, იგი თაგვს არ იჭერს, სამაგიეროდ, ძალზე აშინებს. ელექტროქსელში ჩართული ხელოვნური კატა ხმამაღლა კნავის, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილი კატა.

## თანამგზავრები და მეტეოროლოგია

ხელოვნური თანამგზავრები, რომლებიც დიდ სიმაღლეზე მიფრინავენ, მეტეოროლოგებს დაეხმარნენ საყურადღებო კანონზომიერების აღმოჩენაში: თურმე, ჩვეულებრივ წვიმებს წინ უძღვის მეტეორული წვიმები.

უველაზე ბევრი ნალექი მოდის დედამიწის მიერ მეტეორული წვიმის გადაკვეთიდან 30-40 დღის შემდეგ.

## ნერონს მკურნალობდნენ... ელექტრომასაჟით

ელექტრობას მედიცინაში დიდი ხნის წინათაც იყენებდნენ. ძველრომაულ არქივებში აღმოჩნდა ნაწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ იმპერატორ ნერონს თავისი ექიმი ელექტრომასაჟს უკეთებდა, ხოლო რევმატიზმს მკურნალობდა ელექტროაბაზანებით. აი, როგორ მზადდებოდა ელექტროაბაზანა: წყლით სავსე ხის კასრში უშვებდნენ თევზებს, რომლებიც მტრებისაგან თავდასაცავად ბუნებრივად არიან დაელექტროვებულნი. შემდეგ, ჩაჯდებოდა ნერონი კასრში და იღებდა აბაზანას. ადვილი როდი იქნებოდა ექიმისათვის ისეთი დესპოტის მკურნალობა, როგორიც იყო ნერონი. მაგრამ, რამდენადაც ძველი რომის არც ერთი მემატიანე არაფერს არ ამბობს ექიმის დასჯის თაობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობდა.




## სპილო იკვებება... რადიომიმღებებით

ასეთი სპილო მართლაც ცხოვრობს ქალაქ მონტევიდეოს ზოოპარკში. ერთ საღამოს, ზოოპარკის დარაჯმა სპილოს გალიასთან გაიგონა რაღაც უცნაური ხმები: ჩურჩული, გაურკვეველი ბუტბუტი, მუსიკა... გამოირკვა, რომ ეს ხმები ამოდიოდა მძინარე სპილოს მუცლიდან. „ვიფიქრე, ალბათ თავში ყველაფერი რიგზე ვერა მაქვს-მეთქი, — მჰყვებოდა დარაჯი შემდეგ, — მაგრამ მეორე დღეს; როცა დავინახე, თუ როგორ ამოაცალა სპილომ მაიმუნების გალიასთან მდგარ კაცს ჯიბიდან პატარა რადიომიმღები და თავის ხახაში გადაუშვა, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა“.

სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც რამდენჯერმე მოისმინა ასეთი უჩვეულო კონცერტი, დაადგინა, რომ სპილოს მუცელში ზოგჯერ მართლაც ახმიანდება ხოლმე ჯიბის რადიომიმღებები. ოღონდ ვერ დადგინდა, თუ რამდენი რადიომიმღები აქვს სპილოს გადაყლაპული.



## ნიჭიერი თუთიყუში

ერთი უნგრელი პენსიონერი ქალი თავის პატარა თუთიყუშს ოთხი წლის განმავლობაში საოცარი გულმოდგინებით ასწავლიდა „ენას“. დაუღალავმა მეცადინეობამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო: თუთიყუშმა, სახელად ჩურიკამ, ისწავლა 100 სიტყვა, რომელთაც ძალიან სუფთად გამოთქვამს. მისთვის „ნაცნობია“ 27 გრამატიკული ფორმა, მათ შორის — ზმნის 10 უღლება; იცის თავისი სახელი და მისამართი; საკვირველი სიზუსტით იმეორებს ეზოსა და ბაღში მოჭიკჭიკე ჩიტების ხმებს. ჩურიკა შეუცდომლად ამბობს 8-10-სიტყვიან წინადადებებს.

## მოშინაურებული პითონი

კუნძულ ფლორესის( ინდონეზია) ერთმა მკვიდრმა ტყეში პატარა პითონი დაიჭირა და შინ წაიყვანა. რამდენიმე ხანში პითონის სიგრძემ ექვს მეტრს მიაღწია, ხოლო წონამ 140 კილოგრამს გადააჭარბა. პითონი საოცრად მოშინაურდა. იგი დიდ დახმარებას უწევს თავის პატრონს „მოსავლის აღებაში“: ქოქოსის კაკალი რომ დამწიფდება, პითონი აცოცდება ხეზე და მანამდე არხევს მას, სანამ უკანასკნელი მწიფე ნაყოფი არ ჩამოვარდება.



## ჟანგბადის ფაბრიკა

მეცნიერების გამოანგარიშებით, მცენარეები ყოველწლიურად გამოჰყოფენ ათიათას მილიონ ტონა სუფთა ჟანგბადს.

საკმარისია, დედამიწაზე მთლიანად გაქრეს მცენარეულობა, რომ სამი წლის შემდეგ ატმოსფეროში ერთი გრამიც კი არ დარჩეს სუფთა ჟანგბადი.

## ვერცხლის საწყობი

ოკეანეებისა და ზღვების წყალი ვერცხლის ნამდვილ საწყობს წარმოადგენს. ზღვის წყალი ოცდაათ მილიარდ ტონაზე მეტ ვერცხლს შეიცავს, ეს კი ორმოცდაათი ათასჯერ მეტია, ვიდრე კაცობრიობის მიერ ოთხნახევარი საუკუნის მანძილზე მოპოვებული ვერცხლის რაოდენობა.

## მშრალი წვიმა

ხომ დაუჯერებელია მშრალი წვიმა, მაგრამ დედამიწაზე არის ისეთი ადგილები, სადაც წვიმა მოდის, მაგრამ ვერაფერს კი ვერ ასველებს. ასეთი წვიმა იცის შუა აზიის უდაბნოებშიც. ასეთ ადგილებში დიდი სიცხეა, წვიმის წვეთები ჰაერშივე ორთქლდება. ხედავ, სადღაც მაღლა წვიმს, მაგრამ წვიმა შენამდე ვერ აღწევს. სწორედ ეს არის „მშრალი წვიმა“.



**ანახარსისი:** სჯობია გყავდეს ერთი ძვირფასი მეგობარი, ვიდრე — ბევრი და იაფფასიანი.

**ბელინსკი:** ვინ მეტყვის სიმართლეს ჩემს შესახებ, თუ არა მეგობარი; საკუთარ თავზე სხვისგან სიმართლის გაგონება კი — აუცილებელია.

**დემოკრიტე:** ვისაც მუდამ სხვისი ძრახვა უყვარს, მას მეგობრობა არ შეუძლია.

**ეზოპე:** ნამდვილი მეგობარი გასაჭირში იცნობა.

**ვოლტერი:** მეგობრის თვალი იშვიათად სცდება.

**თალესი:** მეგობრები მარტო მაშინ კი არ უნდა გვახსოვდეს, როცა ისინი ჩვენს გვერდით არიან, არამედ მაშინაც, — როცა მათ არ ვხედავთ.

**კონფუცი:** სასარგებლო მეგობარი სამნაირია; სამნაირია მავნე მეგობარიც. სასარგებლო მეგობრებია: მეგობარი — პირში მთქმელი, მეგობარი — გულწრფელი, და მეგობარი — ბევრისგამგონე. მავნე მეგობრებია: მეგობარი — თვალთმაქცი, მეგობარი — პირმოთნე და მეგობარი — მოღალატე.

**რუსთაველი:** ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

**სოკრატე:** კარგი იქნებოდა, თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, თუ რა ღირს იგი მეგობრებისათვის, და მუდამ ცდილობდეს, რაც შეიძლება ძვირფასი გახდეს. ასეთ შემთხვევაში, მეგობრები იშვიათად უღალატებენ მას.

**ჰესიოდე:** მეგობრების წამდაუწუმ გამოცვლა არ არის მიზანშეწონილი.



## ღვერდკეცა

არის ერთი მცენარე, რომელსაც ქართლში „ღორტყაფას" ან „ღვედურას", იმერეთში — „მარგატელას", რაჭაში — „მაკრატელას", ხოლო გურიაში „ჯასკუტას" ეძახიან.

მეცნიერები ამ მცენარეს „ღვერდკეცას" უწოდებენ, ეს მხვიარა მცენარე ღვერდკეცათა ოჯახში შედის. მისი ღერო მეზობელ ხის ტანს ეხვევა და თითქმის 12 მეტრის სიმაღლემდე აჰყვება ხოლმე.

ეს მცენარე ძველი დროიდანვეა ცნობილი. აფრიკელები მისგან გამოწურულ სითხეს, როგორც მომწამლავ ნივთიერებას, ისრის წვერს უსვამდნენ. ასეთი ისრით კანის ოდნავი გაკაწვრაც კი სიკვდილს იწვევდა.

ღვედკეცა ხარობს ტყეებსა და ბუჩქებში შუა და მცირე აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ირანში, უკრაინაში, შავი ზღვის სანაპიროზე.

გასული საუკუნის დასასრულს სამეცნიერო წრეები დაინტერესდნენ ამ მცენარით. ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ლემანმა დიდი მუშაობის შედეგად მისგან მიიღო გულის სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც პერიპლოცინი უწოდა.

პრეპარატი კარგი გამოდგა. ლემანმა დაწერა მისი მიღების წესები, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ ვერავინ გაიგო. 20-30 წლის შემდეგ, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენშიც, ფარმაცევტულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა სცადეს ამ პრეპარატის მიღება, მაგრამ ცდები უშედეგო გამოდგა.

გავიდა დრო. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ქიმიაფარმაცევტიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ქეთევან მუჯირმა, დაუღალავი მუშაობის შედეგად, ღვერდკეცას ქერქიდან სუფთა სახით მიიღო სამკურნალო პრეპარატი პერიპლოცინი. ამით ქართველმა მეცნიერმა ქალმა თითქმის მივიწყებული მცენარე ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დააყენა.

## ლემა

ლემა — ერთწლიანი, შხამიანი მცენარეა; კახეთში მას „ნეხვბალახას" ეძახიან, ლეჩხუმში — „ასტმოლეს", იმერეთში — „ბურძგლა ბალახს", სამეგრელოში — „ძროხის ჭირის წამალს" ან „ყვაპუში წამალს" და სხვ. სულხან-საბა ორბელიანი მას „ლემის" სახელწოდებით იხსენიებს.

ლემა სწორღეროიანია, იზრდება ერთი მეტრი სიმაღლისა; აქვს დაკბილული, ოვალური ფორმის ფოთლები. ყვავილობს ივლის-სექტემბერში. გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთ და შუა ადგილებში, კავკასიაში, ყირიმში, შუა აზიასა და ალტაის მხარეში.

ლემას სამკურნალო თვისებები ჩვენში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. ლემას ფოთოლი და თესლი ძვირფას სამკურნალო ნივთიერებებს — გიოციამინსა და ატროპინს შეიცავს, რომლებითაც მკურნალობენ ასტმით, თვალის სნეულებებით დაავადებულებს და სხვა.

ანა ნემსაძე.

ნახატი ხუმრობები
მიხეილ მურმანიშვილისა





# ჭადრაკი

## ორი ლამაზი პარტია

გასულ წელს, შემოდგომაზე, სოხუმში პრეტენდენტთა ტურნირში 10 ქვეყნის 18 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბრძოლამ უაღრესად შეუპოვრად ჩაიარა, თუმცა მან ვერ გამოავლინა ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე. ყოველ პარტიაში მოჭადრაკე ქალები არ იშურებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას, მონდომებასა და ძალას. ტურნირში ბევრი ღრმად შინაარსიანი პარტია გათამაშდა. სწორედ ასეთი პარტიების აღსანიშნავად დაწესებული იყო სპეციალური პრიზი.

საგანგებო კომისიამ, რომელშიც გროსმაისტერები ს. ფლორი და ი. ბოლესლავსკი შედიოდნენ, გულდასმით გადაათვალიერა ტურნირის 158 პარტია და ლამაზი თამაშისათვის სპეციალური პრიზი მიაკუთვნა სსრ კავშირის მაშინდელ ჩემპიონს — მაია რანიკუს და იუგოსლავიის ჩემპიონს — მილუნკა ლაზარევიჩს.

აი, ეს პარტიებიც:

### მ. რანიკუ — ე. კარაკაში
(ფრანგული დაცვა)

1. e4 e6 2. ლe2 მf6 (უკეთესია 2... კe7, ან 2... e5) 3. e5 მd5 (ჯობდა შერიგება ტემპის დაკარგვასთან 3... მg8) 4. c4 მf4 5. ლe3 მg6 6. d4 კb4+ 7. მc3 d6 8. მf3 c5 (კარაკაში ჩქარობს — გაარღვიოს თეთრების ცენტრი. ჯერ აუცილებელი იყო როქი) 9. ed ლ:d6 10. კd2 cd 11. მ:d4 კc5? (ახლაც კარგი იყო როქი, კარაკაშის მეფე შეტევის ობიექტი ხდება (იხ. დიაგრამა).

12. მf5! ლb6 (12... კ:e3 13. მd6+ მფd7 14. კ:e3 მფ:d6 15. 0—0—0+ მფe7 16. კc5+ მფf6 17. მe4+ შემდეგ თეთრები იგებენ) 13. მ:g7+ მფf8 14. ლh6 კ:f2+ 15. მფe2 (პოზიცია გამწვავდა. რანიკუს სურს ეტლი d1-ზე გადაიყვანოს, თორემ 16. მფd1-ს ითამაშებდა) 15... მფe7 (გროსმაისტერები ფიქრობენ, რომ 15... მფg8 შემდეგ შავებს შეეძლოთ მეტი წინააღმდეგობის გაწევა) 16. კg5+ f6 17 კ:f6+ (გაბედული შეწირვა, რომლის განშტოება გაიანგარიშა რანიკუმ) 17... მფ:f6 18. მh5+ მფf5 (აგებს აგრეთვე 18... მფe7) 19. g4+ მფ:g4 20. მd1 კd4 21. h4! მf4+ 22. ლ:f4+ შავები დანებდნენ.



### მ. ლაზარევიჩი — კ. ერეტოვა
(ბერდის დებიუტი)

1. f4 მf6 2. მf3 g6 3. d3 d6 4. e4 კg7 5. კe2 მbd7 6. 0—0 e5 7. მc3 c6 8. fe de 9. ლe1 ლe7 10. მფh1 b6 11. კd2 კb7 12. b4

ლაზარევიჩმა სწრაფად დაასრულა ფიგურების მობილიზება და გონებამახვილურად ცდილობს იერიშის განვითარებას. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი არ იყო „ვალდებული" აეყვანა პაიკი, მაგრამ მან სრულად ვერ წარმოიდგინა, თუ რა მოჰყვებოდა პაიკის „შეჭმას". უკეთესი იყო როქი.

12... ლ:b4 13. d4 (შესანიშნავია 14 მb5-ის მუქარით) 13... ლe7 14. de მ:e5 15. მ:e5 ლ:e5 16. კf4 ლa6 17. e5 მd7 (ჯობდა 17... მd5 ერთ-ერთი კუს გაცვლით) 18. მe4 0—0

როგორც იქნა, ერეტოვამ როქი გააკეთა. მაგრამ უკვე გვიანღაა. სხვათა შორის, არ შეიძლებოდა პაიკის მოგება 18... მ:e5-ით, 19. მg5 ლe7 20. კ:e5 გამო და არც 18... კ:e5-ით, 19. მg5 ლe7 20. კc4 გამო.

19. ლh4 h5 20. მg5 ლe7 21. კ:h5! gh 22. ლ:h5 ეe8 23. ლh7+! მფf8 24. მ:f7! შავები დანებდნენ.

1964 წლის ბოლო დღეებში მოსკოვში დამთავრდა მ. ლაზარევიჩის, ტ. ზატულოვსკაიასა და ა. კუშნირის მატჩ-ტურნირი ნ. გაფრინდაშვილთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის უფლებისთვის. ასპარეზობაში გაიმარჯვა მოსკოველმა სტუდენტმა, 28 წლის ალა კუშნირმა.

1965 წლის სექტემბერში შედგება ნ. გაფრინდაშვილი—ა. კუშნირის მატჩი, რომელშიც 16 პარტია გათამაშდება.

**თ. გიორგაძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად გთავაზებთ ერთ-ერთი ისტორიული ძეგლის ფოტოსურათს, დააკვირდით მას და გაეცით პასუხი აქ დასმულ კითხვებს.

1. რომელია ეს ძეგლი? 2. სად მდებარეობს იგი? 3. როდის და ვის მიერ არის აგებული? 4. როგორია მისი ისტორიული წარსული?

## პასუხი № 1 „პიონერში“ დასმულ კითხვებზე

1. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ციხესიმაგრე მეტეხი.

2. მეტეხი მდებარეობს თბილისში, აღმართულია ციცაბო კლდის თავზე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და გადმოსცქერის გორგასალის მოედანს (ყოფილი „თათრის მაიდანი“).

3. მეტეხი აგებულია მეფე დიმიტრი თავდადებულის მიერ, 1278-1289 წლებში.

4. „მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძარი“ ანუ მეტეხი, თბილისის მნიშვნელოვანი და ცნობილი ძეგლია. ის უბანი, სადაც ახლა ტაძარი დგას, ისნის ანუ ისანის სახელით იყო ცნობილი. თბილისის არსებობის პირველი საუკუნეებიდანვე, იგი ხიდით უკავშირდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს. VIII საუკუნის ბოლოს, აქ, კლდის პირას, მდებარეობდა „საგოდებელი“, ე. ი. სახაფლაო. XI საუკუნეში ისანი უკვე ქალაქის უბანია და მას საკუთარი გალავანი ჰქონდა. XII საუკუნეში პირველად იხსენიება სახელწოდება „მეტეხი“. მაშინ, გიორგი III და თამარ მეფის დროს, აქ უკვე არსებობდა მეფის სასახლე და ეკლესია.

1235 წელს, როცა თბილისს მონღოლები მოეძალნენ, რუსუდან დედოფალი ქუთაისში გადავიდა; ხოლო ქალაქის მცველად დატოვებულმა ციხისთავმა გადაწვა „ხრულიად ქალაქი“ მეფის სასახლიანად. მაშინ დაიღუპა მეტეხის ძველი ტაძარიც.

XVIII საუკუნის შუა წლებში, მეფე დავით ულუს მიერ ქვეყნის დროებით გამგებლად დატოვებულმა ჯიქურმა აღადგინა ისნის სამეფო პალატები, ხოლო მეტეხის ტაძარი 1278-1289 წლებში ხელმეორედ ააშენა მეფე დიმიტრი თავდადებულმა.

XVII საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქართლი ირანისა და თურქეთის მძლავრობის ასპარეზად იქცა და ქართლში მაჰმადიანი მეფეები დასხდნენ, მეფის ეკლესიაც და სამეფო სასახლეც მიტოვებულ იქნა.

1748 წელს, ერეკლე მეორემ ბრძოლებით წაართვა მეტეხის ციხე სპარსელთა აგენტს— აბდულაბეგს. ამის შესახებ მოგვითხრობს ეკლესიის წარწერა. ერეკლემ აღადგინა ციხე, ეკლესია და იქვე სასწავლებელიც დააარსა.

1919 წელს მეტეხის ძველი ხიმაგრე დაანგრიეს და მის ნაცვლად საპყრობილის კორპუსები აღმართეს. ბოლო ხანებში საპყრობილის კორპუსები დაანგრიეს და ახლა იქ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს

სწორი პასუხები გამოგზავნეს თბილისის 23-ე საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლეებმა მანანა გორდეზიანმა და რუსუდან ასათიანმა; თბილისის მე-10 საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლეებმა ნაზი ქოიავამ, ელეონორა დოლიძემ და ნათელა რაზმაძემ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — რევაზ ცუცქირიძისა.

რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 02836 ტირ. 40.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 21/I-65 წ. სტამბის შეკვ. 3528. გამომც. შეკვ. 12. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

# დიფტი გორავს



თამაშში ათამდე გოგონა და ბიჭი მონაწილეობს. თამაშისათვის საჭიროა: 1) დიფტი,— სამკაპი ჯოხი, რომლის კაპები, ანუ ფეხები თანაბრად უნდა იყოს ერთმანეთისაგან დაშორებული და სიგრძეც თანაბარი უნდა ჰქონდეთ (დახლოებით ერთი-ორი მტკაველი). იმისათვის, რომ დიფტი თავისუფლად და მყარად იდგმებოდეს მიწაზე, სასურველია, დიფტს ერთ ციდამდე სიგრძის ტარი ჰქონდეს, 2) ნაჭრისაგან შეკერილი ბურთი ან ბალიში, 3) თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს დაახლოებით ორი მტკაველი სიგრძის სასროლი ჯოხი, ანუ ჭოლოკი.

დიფტი და ჭოლოკი მაგარი ხისა (მაგ., შინდის) აჯობია. თამაშის დაწყებამდე უნდა შემოიხაზოს 7-10 ნაბიჯის სიგრძის დიამეტრის წრე, ხოლო მის ცენტრში — ერთი ნაბიჯის დიამეტრის პატარა წრე, — მას „დიფტის წრე" ეწოდება. დიფტს ამ წრეში დგამენ. დიფტის წრიდან სამი ნაბიჯის დაშორებით შემოიხაზება მეორე, ასეთივე ზომის წრე. მას „მოთვალთვალის" წრე ეწოდება. ბოლოს, ამ პატარა წრეებიდან, დაახლოებით თხუთმეტ ნაბიჯზე, გაავლებენ „სასროლ", ანუ ჭოლოკის (ჯოხის) ხაზს.

უოველივე ამის შემდეგ, კენჭისყრის შედეგად, რომელიმე მოთამაშე გახდება „მოთვალთვალე". იგი ჩადგება მოთვალთვალის წრეში და ხელში ნაჭრის ბურთს დაიჭერს. დანარჩენები კი ჩამწკრივდებიან „სასროლ" ხაზზე და რიგ-რიგობით, თავიანთ ჭოლოკებს დიფტს ესვრიან. უველა მოთამაშე ცდილობს დიფტი წააქციოს ან ადგილი მოუნაცვლოს.

მიზანს აცდენილი ჭოლოკის აღების უფლება პატრონს არა აქვს იმ დრომდე, ვიდრე დიფტი თავის ადგილზე დგას, და არც იმის უფლება აქვს — „სასროლ" ხაზს გადმოცილდეს. მოთვალთვალესაც არა აქვს უფლება თავის წრეს გამოსცილდეს.



როცა რომელიმე მოთამაშე ჭოლოკით დიფტს წააქცევს, — უველა უყვირის დაცემს, — „დიფტი გორავსო" და მოთამაშეები თავიანთი ჭოლოკების ასაკრეფად გარბიან. ამ დროს მოთვალთვალეც გამორბის თავისი წრიდან და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად დადგას დიფტი თავის ადგილზე და ამის შემდეგ, რომელიმე მოთამაშეს ნაჭრის ბურთი მოარტყას — „ჩაჭრას", ვიდრე ეს უკანასკნელი ჭოლოკის ხაზს გასცდება. მაგრამ, თუ ამ დროს რომელიმე მოთამაშემ იმარჯვა და დიფტი კვლავ წააქცია, — მოთვალთვალეს უფლება აღარ აქვს ესროლოს ვინმეს ბურთი, სანამ დიფტს ადგილზე არ დააყენებს.

თუ მოთვალთვალე ბურთს ვინმეს მოარტყამს, ის „ჩაჭრილად" ითვლება. ჩაჭრილს, თავის მხრივ, უფლება აქვს აიღოს ბურთი და სხვა მოთამაშეს ესროლოს, მათ შორის — მოთვალთვალესაც, თუ კი მათ ჭოლოკის ხაზს იქით გადასვლა ვერ მოასწრეს.

საბოლოოდ, მოთვალთვალე გახდება ის, ვინც დარჩება ჩაჭრილი.

თუ მოხდა ისე, რომ მოთვალთვალემ ვერავინ ვერ ჩაჭრა, ისევ თვითონ დგება მოთვალთვალის წრეში.

ზ. შერაზადიშვილი

## ტყის უცნაურობანი



არყის ხის ფესვი — „მოცეკვავე ქალი"



ფიჭვის ფესვი — „ხვლიკი".



ფიჭვის ფესვი — „ირემი".

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო გუდიაშვილი



თამარის გასეირნება



კოლმეურნე გოგონები

ფიროსმანის სიკვდილი

